# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 ივნისი 2005 №121 (2444) ფასი 50 თეთრი




## ამდენი სიმართლე ქართულ ფეხბურთს დაახრჩობს

ტორპედო — თბილისის ამბები

3



## რეალი მატყუარების ბუდეა

ინტერვიუ ხოსე მარია გუტისთან

6



## ბოისამ და მარკოიშვილმა ოქრო იყნოსეს

შემონდი რუსეთს ემშვიდობება

12

# მინუს 2: ჟირესს ფორვარდები მოაკლდნენ



4 ივნისი ჯერ არ დამდგარა, საქართველოს ნაკრებს კი ორი ფეხბურთელი უკვე გამოაკლდა — მიხეილ აშვეთიასა და შოთა არველაძის ალბანეთთან თამაში გამოირიცხა. მოკლედ, გუშინ ალენ ჟირესმა ნაკრების ბაზაზე შეკრიბა შეგირდები და მსუბუქად ავარჯიშა, მუსიე ალენის ბანაკს გერმანიაში მოთამაშე ლეგიონერები აკლდნენ, რომლებიც წუხელ ჩამოვიდნენ თბილისში.

და კიდევ: ორ ალექსანდრეს — ამისულაშვილსა და რეხვიაშვილს ფეხი ეტკინათ და გუშინ არ უვარჯიშიათ. დღეს კი ჟირესი პრესკონფერენციაზე გვიხვდება ჟურნალისტებს.

# ზურაბ და გიორგი ათენელები

## ზვიადაურს და ასანიძეს ბერძნებმა დიდი პატივი დასდეს



საპატიო ათენელობა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში:
ჯანო ბაგრატიონი, ლერი ხაბელოვი, ზურაბ ზვიადაური, კონსტანტინა მავროსკელიდუ და გიორგი ასანიძე

# ტკივილიანი ვარჯიში

## ნაკრები დღეს შესრულდება





**გუშინ** საქართველოს ნაკრები შეიკრიბა და ალენ ჟირესსაც თავი ასტკივდა. როგორი საქმეა? პირველივე დღეს ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდა გუნდს — კოჭმტკივანი მიხეილ აშვეთიას და საზარდულით შეწუხებული შოთა არველაძის თამაში 99 პროცენტით გამორიცხულია, ალექსანდრე რეხვიაშვილს და ალექსანდრე ამისულაშვილს კი გუშინდელი ვარჯიში გაუცდათ, თუმცა მათი ჯანმრთელობა საგანგაშო არ ჩანს.

ამ ოთხეულს დავუმატოთ ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და ალექსანდრე იაშვილი, რომლებსაც მწვრთნელები გუშინ საღამოსთვის ელოდნენ და კახა კალაძე, ვინც ვარჯიშის მიწურულსღა ჩამოუსწრო გუნდს, ყველანი გულთბილად მოიკითხა და გაამხნევა, ვარჯიშს კი დღეიდან დაიწყებს.

მოკლედ, ჟირესის განკარგულებაში გუშინ ოდენ 15 ფეხბურთელი იყო: ზვიად სტურუა, გიორგი ლომაია, სოსო გრიშიკაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, გივი კვარაცხელია, მალხაზ ასათიანი, ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, დავით კვირკველია, გიორგი დემეტრაძე, ლევან მაღრაძე, ლაშა ჯაკობია, კახა მჟავანაძე და... მიხეილ ბობოხიძე, ვინც მუსიე ჟირესმა ფორსმაჟორულ სიტუაციაში გამოიძახა.

ეს არის და ეს. გუშინდელი ვარჯიშის საინტერესო ამბები უკვე გითხარით და დანარჩენი ხვალისთვის იყოს, მით უმეტეს, წუხელ კობიაშვილ-ცქიტიშვილ-იაშვილის სამეულიც შეემატა ნაკრებს და ვარჯიშიც უფრო ინტენსიური იქნება, თუმცა მანამდე ალენ ჟირესი პრესკონფერენციას გამართავს და ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

**კახა შალამბერიძე**





# ტყებუჩავა ახალგაზრდულს ახალგაზრდავებს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები გუშინ სრული შემადგენლობით შეიკრიბა და თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდა. გოჩა ტყებუჩავამ გუშინვე გამართულ პრესკონფერენციაზე გაგვაცნო იმ 18 ფეხბურთელის სია, რომელთაც ალბანელებთან სათამაშოდ მოამზადებს. ტყებუჩავას გუნდში სამი დებიუტანტია — გიორგი სეთურიძე, გიორგი ნავალოვსკი და ვლადიმერ დვალიშვილი, დანარჩენებისთვის კი ახალგაზრდული ნაკრები უცხო არ არის.

საინტერესოა, რომ ტყებუჩავას სიაში ვერ მოხვდნენ გოჩა ხოჯავა, სანდრო იაშვილი, გოგი ფიფია და რევაზ გეწაძე, რომლებზეც მწვრთნელმა თქვა, მათი გამოძახებისგან თავი შევიკავე, მირჩევნია, სხვებს მივცე შანსიო.

— პირველ რიგში მინდა, თბილისის „დინამოს" მივულოცო საქართველოს ჩემპიონობა და წარმატებები ვუსურვო. ამ კლუბის მადლიერები ვართ: ბაზაც დაგვითმეს და გვერდშიც გვიდგანან — ასე დაიწყო გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენცია — დღეს 12 საათზე შევიკრიბეთ. სასიხარულოა, რომ ყველა ფეხბურთელი დროულად გამოცხადდა. აქამდე სულ პრობლემები გვექმნებოდა ამ მხრივ.

...შემადგენლობის გასაგებად ჟურნალისტები ერთი კვირით ადრე მაწუხებთ და რადგან ახალგაზრდული ნაკრები ამხელა ინტერესს იწვევს, ამიტომ გადავწყვიტე, ამიერიდან სიის გამოქვეყნება ასე არ დავაგვიანო, ოღონდ თავიდანვე 18-კაციან შემადგენლობას ვერ მოგცემთ — გაფართოებულ შემადგენლობას მოგაწვდით ხოლმე.

...ალბანეთთან სათამაშოდ სამი ახალწვეული გამოვიძახე. მინდოდა, სხვებისთვისაც მიმეცა შანსი, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოვახერხე. ისე უყურადღებოდ არავინ დაგვრჩება, ჩვენ ყველა კანდიდატს ვაკვირდებით.

...გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ტური იყო და ამიტომ დღეს ფეხბურთელებს დიდად არ დავტვირთავთ. უფრო აღდგენითი ხასიათის ვარჯიშები გვექნება.

...შესაძლოა, ხვალ შემოგვიერთდეს გიორგი რეხვიაშვილი. ამ ბიჭზე ინფორმაცია მომაწოდეს და მინდა, გავსინჯო. როგორც მითხრეს, 19 წლისაა და იტალიურ „ლუჩესთან" გააფორმა კონტრაქტი. ვნახავთ და თუ მოგვეწონა, ამას რა აჯობებს.

...საერთოდ, გადავწყვიტე, უფრო ახალგაზრდებზე გავაკეთო აქცენტი. 1985-86 წლებში დაბადებულ ბიჭებს ამიერიდან უფრო ხშირად გამოვიძახებ. დღევანდელ ნაკრებში ამაზე უფროსი მხოლოდ ხუთი ფეხბურთელია — თოთლაძე, ბობლიაშვილი, ლომიძე, ჭილლაძე და ალადაშვილი.

...გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ არიან მოთამაშეები, რომლებმაც ამოწურეს შესაძლებლობები და თან ქედმაღლურად იქცევიან. მათ აღარ აკმაყოფილებთ ახალგაზრდული ნაკრები და ეს ეტყობათ როგორც ვარჯიშის, ისე თამაშის და საერთოდ ქცევის დროს.

...ალბანეთთან თბილისური მატჩი კარგად მახსოვს. მაშინ მსაჯმა ორი კაცი გაგვიგდო და სწორედ იმ თამაშის მერე დამეშალა გუნდი. მაგრამ მეორეცაა: ფეხბურთელს უჯიგროდ თამაშს არასოდეს ვურჩევ, თუ არ იბრძოლა, რა გამოვა?! განსხვავება ისაა, რომ ეს უხეშობაში არ უნდა გადაიზარდოს. რა, თქვენ გჯერათ, რომ მე ფეხბურთელს ვეუბნები, მიდი და მეტოქეს წიხლი ჩაარტყი ან შეაფურთხე-მეთქი?! ეს ხომ აბსურდია...

**კახა შალამბერიძე**

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

***მეკარეები:*** *ირაკლი თოთლაძე (ბათუმი), მინდია ბობლიაშვილი (სიონი);*

***მცველები:*** *მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით კიგაური (ლოკომოტივი), ბესიკ მიქიაშვილი (თბილისი), მამუკა ლომიძე (ჩკალოვეცი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), დავით ჭილლაძე (სუდუვა, ლიტვა);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი სეთურიძე (ლოკომოტივი), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო), კახა ალადაშვილი (დინამო), ბექა ჟღენტი (თბილისი);*

***თავდამსხმელები:*** *სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო).*

### ჩეხეთი

თასის ფინალი

ბანიკი 2:1 სლოვაცკო

### ისლანდია

პრემიერლიგის დივიზიონი. IV ტური

ვალიური 3:0 ფრამი

თროტური 2:2 კეფლავიკი

### შვედეთი

სუპერეტა

VIII ტური

ბრომაპოიკარნა 3:1 ვასბი

### ამხანაგური მატჩები

საფრანგეთი 2:1 უნგრეთი

კოლუმბია 2:3 ინგლისი

### ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. III ტური

ვოლენდამი 4:1 ვენლო

ტელსტარი 0:0 როზენდალი

B ჯგუფი. III ტური

გრააფსხაპი 1:3 სპარტა

ჰელმონდი 5:0 ზვოლე

გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი

## 36 ტური მიმოხილვა

*თბილისის „დინამო" ყოველთვის, კრიზისის წლებშიც კი, განსაკუთრებული თემაა ქართულ ფეხბურთში. დინამოელებს ამ სეზონშიც ჰქონდათ ჩავარდნის პერიოდი, „თბილისთან" ნაგებული 0:5-იც გვახსოვს, მაგრამ არის ასეთი ცნება ფეხბურთში — პოტენციურად ძლიერი. სწორედ პოტენცია, ძლიერი შემადგენლობა, სხვებზე უკეთესი ინფრასტრუქტურა იყო „დინამოს" მეთორმეტე ქართული ოქროს გარანტი. კახა ცხადაძის გუნდმა ბოლო ტურში „ბათუმთან" გასაკეთებელი გააკეთა და გააკეთა ცხრაპირი ოფლის გარეშე...*

*„დინამოს" ჩემპიონობის ფონზე არც კი გავახსენდებოდა ბოლო 16 ტურში „დილას" მოხვეჭილი პირველი ქულა, „ვიტ ჯორჯიას" მიერ „ზესტაფონის" წაქცევა და სულთმობრძავი „კოლხეთის" მორიგი დიდანგარიშიანი მარცხი „სიონთან". ამ თამაშებს პანწკინტელა აზრიც არ ჰქონდა. მაგრამ, აზრი ჰქონდა ქუთაისურ „ტორპედო" — „თბილისს", ჰქონდა და თან როგორი... ამ მატჩზე ორიოდ სიტყვით დაწერა არ გამოვა, ვრცლად კი ქვემოთ იხილავთ...*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 27-მელქაძე | დინამო |
| 23-მეზრელაძე | ტორპედო |
| 13-ზიზია | თბილისი |
| 12-ოდიქაძე | თბილისი/დინამო |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| 11-მარტგალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10-ზირაქიშვილი | ზესტაფონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 36 | 23 | 6 | 7 | 73:27 | 75 |
| ტორპედო | 35 | 20 | 10 | 5 | 56:28 | 70 |
| თბილისი | 35 | 21 | 6 | 8 | 60:37 | 69 |
| ლოკომოტივი | 36 | 16 | 15 | 5 | 41:23 | 63 |
| ზესტაფონი | 36 | 16 | 5 | 15 | 38:48 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 36 | 13 | 9 | 14 | 54:41 | 48 |
| სიონი | 36 | 12 | 4 | 20 | 35:57 | 40 |
| ბათუმი | 36 | 9 | 12 | 15 | 35:33 | 39 |
| კოლხეთი | 36 | 9 | 5 | 22 | 32:62 | 32 |
| დილა | 36 | 2 | 4 | 30 | 20:88 | 10 |





# ამდენი „სიმართლე" ქართულ ფეხბურთს დაახრჩობს

**საქართველოს** ჩემპიონატი დასრულდა და არც დასრულდა. შარშანდელი „ოქროს მატჩისა" არ იყოს, ახლაც შფოთი და დაკა-დაკა ვიხილეთ ბოლო მატჩში. ქუთაისში „ტორპედო" 1:0 უგებდა „თბილისს", ფრის შემთხვევაშიც კი იმერლები მეორე ადგილსა და უეფას თასის საგზურს ინაღდებდნენ, მაგრამ 85-ე წუთზე ატყდა ერთი ამბავი — ქუთაისელთა გოლის ავტორი დავით გამეზარდაშვილი და თბილისელი თორნიკე აფციაური წაკინკლავდნენ, ერთი-ერთზე ჩხუბი ვის გაუგიაო და, მერე გუნდი გუნდზე დაერივნენ ერთმანეთს. მასპინძელთა გულშემატკივრებმაც იხუვლეს მინდორზე.

თამაში შეწყდა. პოლიციელებმაც როგორღაც იყოჩაღეს, „ტორპედოს" ქომაგები და თბილისელი ფეხბურთელები განარიდეს ერთმანეთს. შფოთიანობა კი 85-ე წუთზე არ დაწყებულა: პირველი ტაიმის მიწურულს „თბილისის" რევაზ გეწაძემ გულშემატკივრების გინებას გინებითვე უპასუხა. მეორე ტაიმი კი კარგა ხნის დაგვიანებით დაიწყო, რადგან „თბილისი" მინდორზე გასვლას აღარ აპირებდა, თუმცა რომ გავიდა, რა...

მაინც ზერელედ აღწერა გამოგვდის და მოდით, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მოვუსმინოთ. გამეზარდაშვილიც და გეწაძეც, ასე ვთქვათ, „ცხელ წერტილში" იყვნენ. რომ დაფიქრდე, ორივე მათგანი თან მართალია, თან მტყუანი, თუმცა გააჩნია, ვინ როგორ გაიგებს...

## სად დავემალოთ ლოდებს?

**რევაზ გეწაძე**: ქუთაისელი ქომაგები მთელი თამაშის მანძილზე გვაგინებდნენ, პირველი ტაიმის ბოლოს ველარ მოვითმინე, მეც რაღაც ვუთხარი ენამწარედ და ამაზე სულ გაგიჟდნენ. იმხელა ლოდები მოფრინავდა, სად გავქცეულიყავით, აღარ ვიცოდით. თამაში გაგრძელდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე გასვლას აღარ ვაპირებდით, ეს შეუძლებელი იყო. ასე თუ ისე, მცირე დაგვიანებით მაინც გავედით სათამაშოდ...

... გამეზარდაშვილმა ბურთზე ხელი აურტყა აფციაურს, ჩვენ ვაგებდით და ვჩქარობდით. თორნიკემ გამეზარდაშვილს უთხრა, რას აკეთებ, არ გრცხვენიაო. ამას მოჰყვა წაკინკლავება, მერე კი გულშემატკივრები გადმოვიდნენ მინდორზე...

... პირველივე წუთებიდან, გულშემატკივრები შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. ერთი კაცი ჩვენი კარის უკან იდგა და სოსო გრიშიკაშვილს არ ასვენებდა, ერთი კი მე გამუდმებით მაგინებდა. პოლიციელები ბევრნი იყვნენ და ამ ხალხმა როგორ ჩამოაღწია მინდორზე, ძალიან გამიკვირდა. ჩვენი ავტობუსი დაამტვრიეს, ხიდზე გველოდებოდნენ და პოლიციამ ძლივს გაგვიყვანა ქუთაისიდან.

... არ ვიცი, რა განაჩენს გამოიტანენ. ფეხბურთელებმა რაღაც ვერ გაარკვიეს ერთმანეთში, მაგრამ გულშემატკივარს მინდორზე გადმოსვლის უფლება არა აქვს. მოგება ჩაგვეთვალოსო, არ ვიტყვი, მაგრამ, ჩემი აზრით, მატჩი უნდა გადათამაშდეს.

## თბილისი პროვოკატორია

**დავით გამეზარდაშვილი**: ეს იყო თბილისელთა პროვოკაცია. ისინი ფეხბურთის სათამაშოდ არ იყვნენ ჩამოსულები. ჩვენს გულშემატკივრებს არ ვამართლებ, მაგრამ ბევრი გინახავთ ისეთი თამაში, მაყურებელი არ იგინებოდეს?! ზოგი შეიგინება, ზოგი ტაშს დაგიკრავს. ფეხბურთელი იმისაა, რომ უნდა მოითმინოს და არანაირი უფლება არ აქვს, წყლის ბოთლები ისროლოს ტრიბუნებზე.

... მე მინდორზე არასოდეს მიჩხუბია. იმ მომენტში აფციაურს აუტი უნდა ჩაეწოდებინა, უბრალოდ, მოვიგერიე ბურთი, ასეთ საფეხბურთო ეპიზოდს ყველა თამაშში შეხვდებით... შემოტრიალებისას აფციაურმა ფეხი წამომდო, მე კი მინდოდა, მეკითხა, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ იმწამსვე „თბილისის" სხვა ფეხბურთელები მოცვივდნენ და არეულობაც დაიწყო.

... ვერ გავიგე, რატომ არ გამოდიოდნენ მეორე ტაიმში სათამაშოდ. ლამის ნახევარი საათი ვიცდიდით. იცოდნენ, რომ თამაში წაგებული ჰქონდათ და ერთადერთ ხსნად მატჩის ჩაშლა რჩებოდათ. ჩვენ ფეხბურთელები ვართ და არა ყაჩაღები, აფციაურთან და სხვა თბილისელებთანაც შესარიგებელი არაფერი მაქვს, როცა შევხვდებით, გამარჯობას ვეტყვით ერთმანეთს.

... სამართლიანი გადაწყვეტილება? მგონი, არსად წერია, ამ შემთხვევაში თამაში ხელახლა ჩატარდესო. წესით, მოგება უნდა ჩაგვითვალონ, თუ არადა, დარჩენილი ოთხი-ხუთი წუთი ჩათამაშდეს. თუმც ეჭვი მეპარება, „თბილისი" ქუთაისში ჩამოსვლას დათანხმდეს ხუთი წუთის გულისთვის. მით უმეტეს, რომ მოგების შანსი არანაირად არ ექნება. ეგ არის, ალბათ ჩვენს სტადიონს დისკვალიფიკაციას მისცემენ.

## ალბათ გადათამაშება უნდა დაინიშნოს

ცხადია, კლუბების ხელმძღვანელთა კომენტარებიც საინტერესოა. ამ შემთხვევაშიც იყოფა მეტოქეთა აზრები, „თბილისის" პრეზიდენტი ნიკა დოლიძე კატეგორიულად უარყოფს თავისი ფეხბურთელების მხრიდან პროვოკაციას, ჩვენგან მსგავსი რამ ჯერ არავის უნახავს, ქუთაისელი გულშემატკივრები კი ამ საქმეში ცნობილნი არიანო.

„გავიგე, დღეს „ტორპედოს" ხელმძღვანელებს უთქვამთ, „თბილისი" პროვოკაციისთვის იყო ჩამოსულიო. ასეთი შფოთი რომ პირველად მომხდარიყო ქუთაისში, კიდევ რამეს ვიტყოდი. სადისციპლინო კომიტეტს ჩემს აზრს ვეტყვი. ალბათ, გადათამაშება უნდა დაინიშნოს, მაგრამ კატეგორიული ვერ ვიქნები. როგორც კანონი მოითხოვს, ისე გადაწყდეს ყველაფერი. პირადად მე „ტორპედოს" ქომაგებთან უსიამოვნება არ მომსვლია" — გვითხრა ნიკა დოლიძემ.

## თუ არ შერცხვებათ, თბილისისთვის მიგვიცია უეფას საგზური

„ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტი შალვა ნანიკაშვილი ღიად იშვერს ხელს თბილისელებისკენ, ერთი-ორი კაცის გარდა მაგ გუნდში სულ ბუნტისთავები არიანო. ნანიკაშვილმა საბოლოოდ განაცხადა, ეს ჩემი ბოლო დღე იყო „ტორპედოში", ფეხბურთიდან მივდივარ და მიხარია, ტკბილი მოგონებები შემომრჩენოდა, მაგრამ „თბილისის" უმსგავსო საქციელმა ჩამიშხამა გუნებაო.

— ბავშვიც კი მიხვდება, რომ თამაშის ჩაშლა არანაირად არ გვაწყობდა. ხუთი წუთი იყო დარჩენილი და მეტოქეს ორი გოლი უნდა გაეტანა, თბილისელებს მეტი გზა არ ჰქონდათ და პროვოკაცია მოაწყვეს. ფეხბურთელი რომ ბოთლს გესვრის, იმას ქომაგი გინებით არ უპასუხებს?! გამეზარდაშვილი ნაღდი სპორტსმენია, კარგად აღზრდილი ბიჭია და იმდენი ქნეს, მოთმინებიდან გამოიყვანეს.

... მაგათი იყოს მეორე ადგილიც და უეფას თასიც, თუ უნდათ და არ შერცხვებათ, დავუთმობთ და გავიდნენ ევროტურნირზე. საქართველოს ჩემპიონატში ისე ატრიალებენ ფულს და ისე ხდიან პატიოსან გუნდს სულს, მსგავსი არაფერი მინახავს. გავწამდით, მეტოქესთან ერთად მსაჯებსაც ვუგებდით, მაგრამ მაინც არ შეგვარგეს. სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მე არ წავალ, ფეხბურთში ჩემს საქმიანობას მოვრჩი.

... „ტორპედო" ცოდოა, მაგრამ რა ვქნა — ქალაქის მერია მიხედავს, ალბათ, სხვა სპონსორებიც გამოჩნდებიან. რომელ 16-გუნდიან ჩემპიონატზეა ლაპარაკი, 10 გუნდისთვის ვერ მოუვლიათ, ბნელეთითაა მოცული ყველაფერი, ეს ხომ ფეხბურთი არ არის...

დღეს, 15 საათზე, სფფ-ში სადისციპლინო-ტექნიკურ კომიტეტს სხდომა გაიმართება. სავარაუდოდ, დაუსჯელი არც „ტორპედო" დარჩება და არც „თბილისი". იქნება ვიდეოფირების გარჩევები და ცხარე კამათი. მოკლედ, ცხელი ამბებია მოსალოდნელი...

**ილია ნანობაშვილი**

# ერთი ზარი ჩელსიმდე!



**კახა კალაძის** „ჩელსიში" გადასვლას აღარაფერი უდგას წინ. ქართველი მცველი გუშინ სანაკრებო შეკრებაზე ჩამოვიდა და ჩვენთან საუბარში თქვა, ხვალამდე დამირეკავენ და საბოლოოდ გაირკვევა ყველაფერიო.

იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" კი უკვე ლონდონში დააბინავა კალაძე, კლუბებმა შეთანხმებას მიაღწიესო. მათი ცნობით, „მილანს" კახას გაყიდვის შემდეგ თანხა დარჩება, რაც არგენტინელი ერნან კრესპოს „ჩელსიდან" გამოსყიდვის გარანტი ჩანს. იტალიელების თქმით, ამ გარიგებით ლონდონელები 1,5 მილიონი ევროს მოგებაში დარჩებიან.

მოკლედ, დღეს ყველაფერი უნდა გაცხადდეს, კალაძეს საბოლოო პასუხს ეტყვიან და ვინძლო, დღეიდან ქართველი მცველი ჟოზე მაურინიუს გუნდის წევრი გახდეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# თემურ მახარაძე ზესტაფონიდან გაუშვეს?



**თემურ მახარაძე** „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელობიდან გაათავისუფლესო — ეს ამბავი გუშინ შევიტყვეთ, თუმცა ჭორია თუ მართალი, ვერ გავარკვიეთ, რადგან არც მახარაძეს და არც იმერული კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძეს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ.

— 20 ივნისამდე „ზესტაფონი" შვებულებაშია, მერე კი ფეხბურთელები შეიკრიბებიან, იმავე დღეებში კლუბის ხელმძღვანელობა კრებას ჩაატარებს, სადაც განვლილ სეზონს შეაჯამებენ და ამა თუ იმ ფეხბურთელის, მწვრთნელის ან თუნდაც მომსახურე პერსონალის მუშაობა უარყოფითად თუ შეფასდა, მაშინ გაათავისუფლებენ. ჯერჯერობით კი, თემურ მახარაძის მოხსნის თაობაზე ოფიციალურად არაფერი გაცხადებულა — გვითხრა ფუტკარაძემ.

**ლუკა თალაკვაძე**

## მობრძანდით კეთილ საქმეზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთის საზოგადოების ცხოვრებაში ფეხბურთს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, ზღვისპირეთის საფეხბურთო მოედნებზე აღიზარდა ქართული ფეხბურთის მრავალი სახელგანთქმული ოსტატი. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საზოგადოების მხარდაჭერით დღეს საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობს სამი, მოზარდთა და ბავშვთა რესპუბლიკურ ტურნირებში ათ გუნდზე მეტი, რომლებიც დევნილებით არიან დაკომპლექტებული. ყოველწლიურად მრავალ საფეხბურთო ტურნირს ატარებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია.

აფხაზეთის საფეხბურთო გუნდების საქართველოს ჩემპიონატში შენარჩუნების, დევნილთა შორის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მ.წ. 4 ივნისს ქ. ბოლნისში თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე დანიშნულია საფეხბურთო კლუბ „სიონი" ბოლნისისა და აფხაზეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი. დასაწყისი 17.00 საათზე.

შეხვედრა ტარდება სააქციო საზოგადოება „მადნეულის", ბოლნისის გამგეობის და საკრებულოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით.

გთხოვთ, მობრძანდეთ, თქვენ იხილავთ საინტერესო შეხვედრას და ქველმოქმედებაშიც მიიღებთ მონაწილეობას.

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია*

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მეორე წრე. 16 29 ტური

# აბრეზას ჰეთ თრიქი და ახალგაზრდული ამბები

**პაპუნა კედია**

„მერანისა" და „ამერის" შეხვედრა მეტოქეთა მოლაპარაკების შედეგად გლდანში, „ამერის" ფეხბურთის სკოლის მოედანზე გაიმართა. თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მოწვიმა, წვიმდა პირველი ტაიმის ათი თუ თხუთმეტი წუთის განმავლობაშიც, შემდეგ კი გადაიღო. ერთი სიტყვით, იმას მოგახსენებთ, რომ ამინდს ამ შემთხვევაში ბევრი არაფერი გაუფუჭებია, ის თავისი გზით წავიდა და მატჩი თავისით:

სულ პირველად კარის მიმართულებით, ოღონდ საკმაოდ უზუსტოდ, მერანელებმა დაარტყეს (რომ არ დავიბნეთ, სიტყვებს „მასპინძელი" და „სტუმარი" მოვერიდოთ), შემდეგ კი ამერელმა სულიკო დავითაშვილმა უპასუხა და მეკარე სეფიაშვილს ბურთის ლამაზი ნახტომით მოგერიების საშუალება მისცა. აი, ამის შემდეგ კი, მე-9 წუთზე, დავითაშვილმა ანგარიში გახსნა — მარჯვნიდან გიზო ჯელაძის ჩაწოდებულს გაწოლით დაარტყა ეფექტური და შედეგიანი თავური.

ერთი წუთის შემდეგ „ამერს" მეორე გოლი გააქვს: კუთხურს გიორგი დეკანოსიძე აწვდის, კაპიტანი გიორგი დავითნიძე კი მაღლა ხტება და ძლიერად არტყამს თავს.

ზედიზედ ორი გოლის შემდეგ თამაშმა ასეთი სახე მიიღო: „ამერი" დაჭერილი განწყობის შენარჩუნებას ცდილობდა, „მერანი" კი კონტრშეტევას ამზადებდა.

მატჩის ამ მონაკვეთში „მერანმა" მართლაც შეძლო ორი მეტნაკლები ხიფათის შექმნა მეტოქის კართან. პირველად, „ამერის" კართან ჯერ შეტევის მარჯვენა ფრთიდან დაინიშნა კუთხური, შემდეგ მარცხნიდან, რასაც ილია ქემაშვილის ოდნავ უზუსტო თავური მოჰყვა, ხოლო მეორე ეპიზოდში ლევან გრიგალაშვილის პასით ბექა ცისკარაულმა შეიგდო ბურთი მცველთა შორის დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მეკარე რეზო ნაჭყეპიამ დარტყმული ყოჩაღი ნახტომით აუღო.

...მაგრამ, ეს ყველაფერი საპირისპირო კარში დავითაშვილის მორიგი გოლით დასრულდა.

პირველ ტაიმში ბოლო მომენტად ახალგაზრდა რატი წინამძღვრიშვილის დარტყმა და სეფიაშვილის კიდევ ერთი წარმატებული ნახტომი უნდა ჩავთვალოთ.

ხოლო, მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რომ ზემოთ შექებულმა ცისკარაულმა თვალის დახამხამებაში შეამცირა სხვაობა.

შესვენების მერე მომენტების აღწერაზე მეტად იმის აღნიშვნა გვინდა, რომ „ამერის" მწვრთნელმა, გიორგი ჩიხრაძემ ახალგაზრდებს, გეგი გარუჩავასა და ნიკა ნადირაძესაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება და ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მანამდე უნდა ვახსენოთ 52-ე წუთი, როდესაც წინამძღვრიშვილმა ამ შეხვედრაშიც გააკეთა ის, რასაც, უნდა ითქვას, საკმაოდ კარგად აკეთებს — გოლი გაიტანა. ამ კომბინაციაში მონაწილეობდნენ ჩინებული პირველი პასის ავტორი დავითაშვილი და გიორგი სილაგავა, რომლის დარტყმულიც ძელმა აისხლიტა და ეს ასხლეტილი მიუვიდა გოლის ავტორს.

შემდეგ კიდევ იყო რამდენიმე მომენტი და ბოლოს ნადირაძის პასით დავითაშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

თბილისი. 31 მაისი. 17 საათი. ფკ ამერის სკოლა. 300 მაყურებელი

**მილანი–მერანი 1:5 ამერი**

0:1 დავითაშვილი (9), 0:2 დავითნიძე (10), 0:3 დავითაშვილი (19), 1:3 ცისკარაული (46), 1:4 წინამძღვრიშვილი (52), 1:5 დავითაშვილი (82)

**მერანი:** სეფიაშვილი (გლუნჩაძე 54), კანდელაკი, გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, სახოკია, თემაშვილი (წულაია 46), სარალიძე, ქეიშვილი, ჩაჩანიძე (ფიფია 54), ცისკარაული, ქეთელაური
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**ამერი:** ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, სილაგავა (ჩხეტიანი 62), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი (გარუჩავა 46), დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (ნადირაძე 58)
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მსაჯები:** ა. ორდინიძე; ა. გუნთაძე, ე. ნარმანია; მ. მალაღურაძე

**ცხინვალი 1:3 კახეთი**

**ბორჯომი 2:3 ოლიმპი**

**რუსთავი 3:1 ივერია**

**ვიტ ჯორჯია 5:2 სპარტაკი**

**გურია 1:1 ლოკომოტივი 2**

**საგარეჯო 0:2 დინამო 2**

**მალაროელი 1:3 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 29 | 22 | 3 | 4 | 91:17 | 69 |
| ბორჯომი | 29 | 22 | 3 | 4 | 73:34 | 69 |
| სპარტაკი | 29 | 16 | 8 | 5 | 49:33 | 56 |
| კახეთი | 29 | 16 | 4 | 9 | 51:39 | 52 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 15 | 7 | 7 | 45:26 | 52 |
| დინამო 2 | 29 | 16 | 1 | 12 | 63:46 | 49 |
| ცხინვალი | 29 | 13 | 4 | 12 | 38:37 | 43 |
| ჩიხურა | 29 | 11 | 7 | 11 | 33:34 | 40 |
| გურია | 29 | 10 | 8 | 11 | 30:42 | 38 |
| რუსთავი | 29 | 10 | 6 | 13 | 36:39 | 36 |
| ოლიმპი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:43 | 35 |
| ლოკომოტივი 2 | 29 | 9 | 8 | 12 | 32:40 | 35 |
| ივერია | 29 | 9 | 5 | 15 | 28:45 | 32 |
| *მერანი* | 29 | 8 | 4 | 17 | 35:52 | 28 |
| *საგარეჯო* | 29 | 4 | 5 | 20 | 25:65 | 17 |
| *მალაროელი* | 29 | 0 | 4 | 25 | 15:87 | 4 |



სულიკო დავითაშვილს ლიგის ბომბარდირობამდე ბევრიც აღარაფერი უკლია

# მარეკს ბეჭედი დაუსვეს



მარეკ იანკულოვსკიმ „მილანთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა

**მარეკ იანკულოვსკი** „მილანის“ ფეხბურთელია — ეს ინფორმაცია უკვე ორივე მხარემ ოფიციალურად დაადასტურა. თანხა, რომელიც ჩეხი ნახევარმცველის სანაცვლოდ „უდინეზემ“ მიიღო, ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმცა არაოფიციალურად ხუთ მილიონ ევროზეა ლაპარაკი. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 28 წლის იანკულოვსკიმ თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2009 წლის 30 ივნისამდე „როსონერის“ საკუთრებაა.

მაგრამ „მილანი“ უდინელთა კიდევ ორი ფეხბურთელს ეკურკურება — ვინჩენცო იაკინტასა და დავიდ პიზაროს.

„თუ „პარმა“ ალბერტო ჯილარდინოს 35 მილიონ ევროდ აფასებს, ჩვენ იაკინტაში სულ ცოტა, 15 მილიონს ვითხოვთ. რაც შეეხება პიზაროს, როდესაც რომელიმე კლუბი სერიოზულ ინტერესს გამოიჩენს, მის ფასსაც მერე დავასახელებთ“ — თქვა „უდინეზეს“ მმართველმა ჯანპაოლო პოცომ.

ვიტყვით ისიც, რომ იაკინტას კატალონიური „ბარსელონაც“ უტრიალებს, ხოლო პიზაროს შეძენაზე „მილანთან“ ერთად „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „რომა“ ფიქრობენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მანსინით მანჩინი დაინტერესდა



ამანტინო მანსინის „რომადან“ წასვლა უნდა

**„ინტერის“** თავკაცმა რობერტო მანჩინიმ „რომას“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ამანტინო მანსინის დაადგა თვალი. შეგახსენებთ, რომ ეს კლუბები იტალიის თასის ფინალში ხვდებიან ერთმანეთს. მატჩები 12 და 15 ივნისს გაიმართება, რის შემდეგაც მხარეები სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ცოტა ხნის წინ მანსინიმ განაცხადა, რომ „რომას“ დატოვება თითქმის გადაწყვეტილი აქვს და მას მყისვე რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა. „ინტერის“ მთავარ კონკურენტად ამჟამად „ვალენსია“ სახელდება, „ლამურებს“ ბრაზილიელის ხელში ჩაგდება ძალიან უნდათ.

მანსინისთან ერთად „ნეროაძური“ მის თანამემამულეს, „სიენას“ ვარსკვლავ როდრიგო ტადეისაც ეპატიჟება, თუმცა, თუ ჭორებს ვენდობით, ტადეიმ სწორედ „რომასთან“ მიაღწია შეთანხმებას და მხარეები სამწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. ფეხბურთელი სეზონში 700 ათას ევროს მიიღებს.

ამბობენ, მანჩინის რობერ პირესის დამატებაც უნდაო. დიდი შანსია, ვეტერანმა ფრანგმა ლონდონის „არსენალი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სესარს იმედი აქვს

**მადრიდის** „რეალის“ სათადარიგო მეკარე სესარ სანჩესი მალე ალბათ, არაგონული „სარაგოსას“ კარში ჩადგება.

იკერ კასილასის ჩრდილში მუდმივად მოქცეულ სესარს „რეალთან“ კონტრაქტი უმთავრდება, თავისუფალი აგენტი ხდება და „სარაგოსას“ შეფობაც ამიტომ აწარმოებს მასთან მოლაპარაკებას. ესპანური პრესის ცნობით, ხელშეკრულების ლადება უახლოეს დღეებშია მოსალოდნელი, თუმცა ამასთანავე აღნიშნავენ, ტრანსფერის ფინანსურ მხარესთან დაკავშირებით მცირედი გაუგებრობაა, რაც ალბათ, მადრიდელის სარაგოსაში ჩასვლას ოდნავ შეაყოვნებსო.

„იმედია, ჩემი კარიერა ახალ გუნდში წარმატებული იქნება“ — სესარის მოკლე კომენტარი ასეთია.

**ლადო ხომერიკი**



„ჰერტას“ ბრაზილიელი მარსელინიო ბუნდესლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელია

# მარსელინიო გერმანიამ აღიარა

**ცნობილმა** გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ ბუნდესლიგის ფეხბურთელებს შორის კიდევ ერთი საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა და გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე გამოავლინა.

გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა „ჰერტას“ შემტევ ნახევარმცველ მარსელინიოს მისცა. ბრაზილიელმა საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მიხაელ ბალაკს.

საუკეთესო მწვრთნელისა და მეკარის ჯილდოები შესაბამისად, „ბაიერნის“ დამრიგებელმა ფელიქს მაგათმა და „ჰანოვერის“ გოლკიპერმა რობერტ ენკემ მოიპოვეს.

რახან ბუნდესლიგა ვახსენეთ, ვიტყვით ისიც, რომ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ნილს უდე-კამფსმა თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა „ბრემენი“ და „მიონხენგლადბახთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარდა ამისა, „დორტმუნდმა“ თავის ჰოლანდიელ მწვრთნელ ბერტ ვან მარვეიკთან 2007 წლამდე გააახანგრძლივა კონტრაქტი.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბუფონი რეალისტია

**ამჟამად** მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მიჩნეული ჯანლუიჯი ბუფონის გადაბირება მადრიდის „რეალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ რომ სურთ, უკვე ძველი ამბავია. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ თავად ფეხბურთელმა განაცხადა, „იუვენტუსიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებო, ახლა კი მისმა აგენტმა სილვანო მარტინამაც გააკეთა საინტერესო კომენტარი.

„ტურინელებს მართლაც ჩვეული წამყვანი მოთამაშეების გაყიდვა, თუ რომელიმე კლუბი დიდ ფულს იხდის. თუმცა ამჯერად არა მგონია, რომ გუნდმა ჯიჯის გასხვისება გადაწყვიტოს, თანაც ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი სიტყვა ფეხბურთელზეა. ბუფონს კი წასვლა არ უნდა, რადგანაც მსოფლიოს სამი საუკეთესო კლუბიდან ერთ-ერთში ირიცხება და თან „იუვენტუსი“ ძალიან უყვარს“ — აღნიშნა მარტინამ.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, „მანჩესტერი“ მზადაა, 50 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ბუფონის აგენტი „ოლდ ტრაფორდზე“ გადასვლის ვარიანტს არარეალურად მიიჩნევს. სამაგიეროდ, არ გამორიცხავს მომავალში თავისი კლიენტის „რეალში“ გადასვლის შესაძლებლობას.

სილვანო მარტინა: „თუ ჯიჯი ოდესმე „იუვენტუსიდან“ წასვლას გადაწყვეტს, იგი მხოლოდ „რეალში“ გადავა. აქედან გამომდინარე, „მანჩესტერის“ წინადადებას აზრი არ აქვს“.

**გიორგი ქაქაბაძე**



ჯანლუიჯი ბუფონის აგენტმა გუშინ სხვაგვარად ილაპარაკა

# ატლეტიკოს თავი მოსძვრა




სეზარ ფერანდო (მარჯვნივ) „ატლეტიკოს“ სპორტულმა დირექტორმა ტონი მუნიოსმა პირადად დაითხოვა

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ამიერიდან სხვა მწვრთნელის ძებნა მოუწევს.

გუშინ გუნდის სპორტულმა დირექტორმა ტონი მუნიოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სეზარ ფერანდომ პოსტი დატოვა.

„ფერანდომ ჩვენი კლუბისთვის, რაც შეეძლო, გააკეთა, რისთვისაც გვინდა, დიდი მადლობა ვუთხრათ. ამჟამად კი „ატლეტიკოსთვის“ ახალი ეტაპის დაწყება უკეთესი იყო, რასაც გავაკეთებთ კიდეც“ — აღნიშნა მუნიოსმა „ასთან“ ინტერვიუში.

სეზარ ფერანდოს ათლეტთა სათავეში კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ გასულ სეზონში წარუმატებლობის გამო („ატლეტიკომ“ ესპანეთის ჩემპიონატში მე-12 ადგილი დაიკავა) კლუბის დირექტორატთა საბჭომ მასთან განშორება არჩია.

ამბობენ, გამოთავისუფლებულ ადგილს ცნობილი არგენტინელი კარლოს ბიანკი დაიკავებსო.

**ლადო ხომერიკი**

# ვიეირა? არა, ანრი მირჩევნია




„ბარსელონაში“ ტიერი ანრი უფრო სურთ, ვიდრე პატრიკ ვიეირა

**„ბარსელონას“** მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს გუშინ კატალონიურ „სპორტთან“ საუბრისას არ დაუმალავს, რომ ყველანაირად ეცდება, მომავალი სეზონისთვის „კამპ ნოუზე“ ლონდონის „არსენალის“ ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი ჩაიყვანოს.

აქამდე, ინგლისურ მედიაში ხშირად იწერებოდა, რაიკარდს ანრი კი არა, მეორე არსენალელი, პატრიკ ვიეირა უფრო აინტერესებსო. თუმც, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ყოველივე უარყო — ვიეირა ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მე სხვა ამპლუის მოთამაშე უფრო მჭირდებაო.

„მე ახლა ანრის „კამპ ნოუზე“ ჩამოყვანა სხვა ტრანსფერზე მეტად მაინტერესებს“ — კატეგორიულად განმარტავს რაიკარდი.

ერთი სიტყვით, ახლა ჯერი „ბარსას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას მარიფათზეა.

**ლადო ხომერიკი**

# ბეტისი ხოაკინს ვერ შეელევა

**სევილიის** „ბეტისის“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრამ მადრიდის „რეალს“ ახალგაზრდა ვარსკვლავის, ხოაკინის შეძენის საქმე უკიდურესად გაურთულა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ მადრიდელები ხოაკინს პირადად შეუთანხმდნენ და „ბეტისის“ ნახევარმცველსაც უკვე თავისიანად თვლიდნენ, მაგრამ...

ახლა „ბეტისის“ პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერას ევროსარბიელზეც სურს წარმატების მიღწევა და, ცხადია, ლიდერის სხვაგან გაშვებას არ დაუშვებს. მეტიც, ესპანური მედიის ცნობით, პრეზიდენტი ისეთი ცნობილი ფეხბურთელების ყიდვასაც აპირებს, რომლებიც ხოაკინთან ერთად ჩემპიონთა ლიგას შეაზანზარებენ.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხოსე მარია გუტი:

# რეალი სამეფო კლუბი კი არა, მატყუარების ბუდეა

*მან გუშინ თქვა, მუდმივად სათადარიგოებში ყოფნით დავიღალე და „რეალიდან“ წასვლა გადავწყვიტეო.*

*გადაწყვიტა და განაწყენებული ფეხბურთელი მადრიდული „ასის“ კორესპონდენტმაც ინტერვიუსთვის შეიგულა.*

*მოკლედ, ხოსე მარია გუტი თქვენს წინაშეც ამბობს, რომ...*

— საერთოდ, ჩემი და ნებისმიერი სხვა ფეხბურთელის კარიერა ეტაპებად იყოფა — არის ეპიზოდები, როცა დიდი ხნით გიწევს თამაში და პირიქით. ვთვლი, რომ ეს წელი ჩემთვის ცუდი იყო. მოედანზე ძალიან ცოტა ხანი დავყავი. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რათა ძირითადში მოვხვედრილიყავი, მაგრამ ვინ დაგაფასა? ჩემთვის უჩვეულო ამპლუაშიც ვითამაშე, ვფიქრობ, საქმესაც კარგად ვართმევდი თავს, მაგრამ...

**— და მაინც, ვანდერლეი ლუშემბურგო ძირითადში რატომ არ გათამაშებდათ?**

— არ ვიცი. ალბათ, სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ასი პროცენტით არ მენდობა. ცუდია, როცა შენი გუნდისთვის ყველაფერი გინდა გაიღო და ამის საშუალებას უბრალოდ, არ გაძლევენ.

**— ლუშემბურგო ვახსენეთ. მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— თბილი, მეგობრული. თავიდანვე, როგორც კი „რეალის“ მწვრთნელად დანიშნეს, ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობოდით.

**— უცნაურად კი ჟღერს. არადა, მასზე გაბრაზებული უნდა იყოთ...**

— არა, გაბრაზებული არ ვარ, თუმც გული მართლაც საშინლად მტკივა, საქმეში რომ არ მენდობა. „რეალისთვის“ გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია. მაგრამ ახლა სხვა გუნდში გადასვლაზეც ვფიქრობ, სადაც ჩემს ნიჭს დააფასებენ.

**— ანუ წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტეთ?**

— ასეა. უკვე 28 წლის ვარ, საბედნიეროდ, ტრავმა არ მაწუხებს. წინ კიდევ ბევრი კარგი სეზონი მელოდება. ჩემი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება მსურს. რაც დღევანდელ „რეალში“ შეუძლებელია.

**— „სამეფო კლუბთან“ კი კონტრაქტი 2008 წლამდე გაკავშირებთ და პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც თქვენი გუნდში დარჩენის მომხრეა...**

— „რეალის“ უფროსობიდან ჩემთან სალაპარაკოდ არავინ მოსულა, ამიტომ ნამდვილად არაფერი ვიცი. შეიძლება დუმილი მათთვის მისაღებია, რადგან კონტრაქტით კიდევ სამი წელი მაქვს დარჩენილი. ალბათ, იმასაც ფიქრობენ, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. მოკლედ, არ ვიცი.

**— ცხრა წელიწადი გავიდა, რაც „რეალში“ ხართ და რატომღაც, როცა საქმეს სჭირდება, მაინცდამაინც გუტის სწირავენ...**

— ალბათ, მუდამ მე ვყოფილვარ დამნაშავე, ძირითადში რომ ვერ ვხვდები. თან გუნდში არც ერთი ისეთი მწვრთნელი არ მოსულა, რომელიც ჩემს სიძლიერეში ასი პროცენტით იქნებოდა დარწმუნებული. ყოველთვის, როცა კარგად ავთამაშდებოდი, კლუბში მაშინ მოუნდებოდათ ცვლილებებისა და ექსპერიმენტების მოსინჯვა.

**— „რეალიდან“ წასვლა კი გადაწყვიტეთ, მაგრამ სინანულს ალბათ, მაინც გრძნობთ...**

— რა თქმა უნდა, მე ხომ ცხრა წელია, რაც ამ კლუბში ვთამაშობ და ფეხბურთის ანბანი სწორედ აქ ვისწავლე. ცხადია, გამიხარდებოდა დარჩენა, მაგრამ...

**— ეგებ ყველაფერი გარკვეულწილად თქვენი ბრალიცაა. თქვენს მძიმე ხასიათს ვგულისხმობ...**

— შესაძლოა, ასეცაა. წინა სეზონებში ცუდიც ბევრი მახსოვს და კარგიც, თუმც კლუბში მაინც ვრჩებოდი, რადგან „რეალი“ მიყვარდა. როცა დავფიქრდები და ძველ ამბებს ვიხსენებ, ხანდახან ვამბობ, რომ შემეძლოს, წარსულში უამრავ რამეს შევცვლიდიმეთქი. ცუდია, წარსულს ვერაფრით დააბრუნებ.

**— საკვირველია, მაშინ ჩუმად რატომ იყავით?**

— იმიტომ, რომ ჟურნალისტებთან ჩივილს, მინდორზე საქმის კეთება მერჩივნა. ეს არის და ეს.

**— სამაგიეროდ, კლუბის ქომაგებს უყვარხართ ძალიან...**

— მოხარული და მათი ულრმესი მადლობელი ვარ. ინჩასებთან ადრე შეხმატკბილებული ურთიერთობა არ მქონდა, თუმც ახლა ყველას ძალიან ვუყვარვარ. მათი თქმით, გუტი ჩინებული ფეხბურთელია და მინდორზე მეტი ხნით თამაშს იმსახურებს. ალბათ, ამიტომაც შემოვრჩი „რეალს“ ამდენ ხანს.

# ლუშემბურგო და მისი ამფსონები
## ვინ არის ქალბატონი პატრისია?

**...თურმე, „ელ გალაქტიკოს“ სათავეში მყოფი ბრაზილიელის საფეხბურთო ფილოსოფია მარტივია. აი, ამ და კიდევ რამდენიმე საკითხზე, მაგალითად ისეთზე, როგორიც დევიდ ბექემის ვინაობა და რაობაა, საუბრობს ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო წერილ-ინტერვიუში, რომლის ქართულ თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ**




**წერილი**, რომელზედაც მოგახსენებთ, **M-30**-ით იწყება. ეს გახლავთ საავტომობილო ტრასა, რომელიც მადრიდს გარს უვლის. ლუშემბურგო საჭესთანაა, მანქანაში კიდევ ორი ადამიანია — „რეალის“ ქომაგები. ისინი ბრაზილიელი მწვრთნელის წასახალისებლად ცერა თითს მაღლა სწევენ და ამბობენ: **HEY QUE DARLES CANA!** ლუშემბურგო თავს უქნევს, რადგან კარგად იცის, რასაც ითხოვენ მისგან — მან ფეხბურთელებს იოლი ცხოვრება უნდა გაურთულოს, თან ძალიან.

ვანდერლეი ლუშემბურგოს მადრიდში ჩასვლა მთელი ევროპისთვის დიდი საშობაო სიურპრიზი გამოდგა. მაშინ, როდესაც მის სამშობლოში ტელემომხილველები ხშირად იმეორებდნენ, ერთადერთი, რაც დღევანდელ „რეალს“ სჭირდება ბრაზილიელი მწვრთნელია, თან მისნაირიო. ცნობისათვის, იმხანად ლუშემბურგოს „სანტოსთან“ ერთად ახალი მოგებული ჰქონდა ბრაზილიის ჩემპიონის მეხუთე ტიტული, თუმცა ისეც ნუ წარმოიდგენთ, რომ რაკი ბრაზილიელი მიმომხილველები ამბობდნენ, საქმე მოგვარებული იყო. ესპანეთში თითზე ჩამოსათვლელმა ხალხმა თუ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი და, თუ ვინმეს რამე მაინც ახსოვდა, ბრაზილიის ნაკრების წარუმატებელი მწვრთნელობა — მოკლედ ჩავარდნა.

და მაინც, ვანდერლეი ლუშემბურგო სელესაოს მწვრთნელის თანამდებობიდან იმიტომ კი არ გაათავისუფლეს, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე ოქრო ვერ მოიგო — სხვათაშორის, ოლიმპიური ოქრო ერთადერთი ჯილდოა, რომელიც ბრაზილიელებს კოლექციაში აკლიათ, — არამედ ადამიანებთან ურთიერთობისა და ვერმოგერიებული მედია-შეტევების გამო.

სამშობლოში ლუშემბურგოზე ამბობენ, რომ იგი შემტევი გუნდების აწყობაშია ძლიერი და ამიტომაც არავის ეეჭვებოდა, რომ თუ იგი მადრიდში წავიდოდა, წარმატებას მიაღწევდა.

და ლუშემბურგო მადრიდში ჩავიდა, სადაც პირველი ამოცანა ფრიად უცნაური დახვდა, „რეალ-სოსიედადთან“ ბოლომდე არჩატარებული თამაშის დარჩენილი შვიდი წუთი უნდა ჩაემთავრებინა. შეგახსენებთ, რომ „პირველ ცდაზე“ თამაში იმიტომ შეწყდა, რომ ვიღაცამ ჭორი დაყარა, სტადიონზე ბომბიაო. ანგარიში 1:1 გახლდათ.... ლუშემბურგოს გასახარად და სასახელოდ, დარჩენილი შვიდი წუთი საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ რონალდო მეტოქეებს საჯარიმოში წააქციათ, ხოლო ზინედინ ზიდანს პენალტიდან ბურთი ბადეში შეეგდო.

„ამაზე კარგ დასაწყისს ვერც ვინატრებდი, იმ მომენტიდან ფეხბურთელებმა თავიდან ირწმუნეს საკუთარი ძალები“ — ამბობს მწვრთნელი.

ამ მომენტიდან მოყოლებული ლუშემბურგომ ზედიზედ შვიდი თამაში მოიგო და ბუნებრივია, ქომაგებში პატივისცემა მოიპოვა.

„გასახდელში არაფერი შეცვლილა, ფეხბურთელები ხან უკეთესად ითამაშებენ, ხან უარესად. მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რომ ყველა მოთამაშემ ეროვნულობნად, ერთი იდეის შესაბამისად იმოქმედოს. მათი უფლებები მთავრდება იქ, სადაც ჩემი იწყება“.

ბოლო დროის ევროპაში, ბრაზილიისგან განსხვავებით, დილისა და შუადღის ვარჯიშები აღარ ტარდება, ლუშემბურგომ კი „რეალში“ ორჯერადი წვრთნა აღადგინა და ამას ფეხბურთელთა ნაწილი გულისწყრომით შეხვდა. სამაგიეროდ, გამოხდა ორი თვე და მადრიდულ კლუბში ტრავმიანობამ იკლო. ამბობენ, რომ გაუმჯობესდა ფეხბურთელთა ფიზიკური ფორმაც.

ახლა გაგაცნობთ ანტონიო მელოს, ლუშემბურგოს მარჯვენა ხელს, ფიზიკური მომზადების მწვრთნელს, რომელიც „რეალის“ ბრაზილიელმა თავკაცმა 1980 წელს რიოში გაიცნო და დაუმეგობრდა. ისინი ერთად იყვნენ საუდის არაბეთში, ოღონდ ერთი ერთ გუნდში მუშაობდა, მეორე — მეორეში. სამაგიეროდ, ლუშემბურგო და მელო მეზობლები იყვნენ და ძალიან დაახლოვდნენ. 1997 წლიდან მათმა წყვილმა სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად მოიპოვა ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული. ეს გუნდები იყვნენ „კორინთიანსი“, „კრუზეირო“ და „სანტოსი“.

„ყოველთვის ვიცოდი რომ, თუ დონის ამაღლება და დიდ სიმაღლეებთან შეჭიდება მინდოდა, ვანდერლეის არ უნდა მოვშორებოდი გვერდიდან — ამბობს მელო, რომელიც იუმორის გრძნობით არის საყოველთაოდ ცნობილი. ზინედინ ზიდანი და დევიდ ბექემი ამბობენ, რომ ამ ადამიანის გამოჩენამ ბევრი რამ შეცვალა გასახდელსა და სავარჯიშო მოედანზე. ბევრი რამ შემსუბუქდა, რადგან ხუმრობად იქცა. მერედა, საქმე მარტო მასხარობა ხომ არ არის. ამაზე მოავაგომაა: ფიზიკური მომზადების ვარჯიშებში შემოვიდა ბურთი ანუ თამაშის ელემენტი და ამან საკუთრივ ვარჯიშებს შემატა ხალისი.

„შედეგი იგივეა, სამაგიეროდ, ფეხბურთელები ხალისით [illegible] ფიზიკურ მომზადებას ისე [illegible]ბენ, ვერც ხვდებიან“ — [illegible] მელო.

ვანდერლეი ლუშემბურგოს მწვრთნელთა ბანაკში კიდევ ორი ბრაზილიელია — ერთი მათგანი გახლავთ დიეტოლოგი პატრისია ფერნანდეშ ტეიშეირა, რომელიც [illegible] პერაციული რონალდოს [illegible]ციაზე გახლდათ პასუხისმგებელი და „რეალში“ წინის [illegible] დებაც მისი ცოდნისა და [illegible] შედეგია. საინტერესოა, რომ [illegible] ლდოს პრესა და გულშემატკივრები ხშირად „ელ გორდოს“ [illegible] ქანას ეძახიან. მაგრამ [illegible] საინტერესოა, რომ მსუქანი [illegible] უფრო მსუქანი იქნებოდა, ქალბატონ ფერნანდეშ ტეიშეირას [illegible] სი ახალი დიეტით მისთვის [illegible] კილო რომ არ მოეშორებინა.

„ჩემი რეცეპტი ისაა, [illegible] ნარ საკვებს არ ვკრძალავ [illegible] ლი დიეტა ინდივიდუალური [illegible] დამოკიდებულია [illegible] თამაშის პირად მოთხოვნებზე [illegible] სხეულში სხვადასხვა [illegible] ბის რაოდენობაზე [illegible] ეტა ის მეცნიერებაა, რომ [illegible] ბრაზილიაში კარგა ხანია [illegible] მადრიდში კი ვაცნობ, ამ [illegible] ბევრი რამ უცნობია“.

ერთი სიტყვით, ლუშემბურგოს [illegible] ვის ყველაფერი კარგად [illegible] გამოვიდა, რომ მან თავის [illegible] რონალდოს ერთის მხრივ [illegible] მეტი დატვირთვა და [illegible] ძებნა, ხოლო მეორეს მხრივ [illegible] ჯიბით ფორმა აღადგინა [illegible] თუ გახსოვთ, რონალდომ [illegible] პირველ სამ თამაში მხოლოდ [illegible] გოლი გაიტანა და მაყურებელი [illegible] რიანადაც უსტვენდა.

„აქამდე არ მეპარება, რომ [illegible] ლე ხელახლა დაიბადება“ — [illegible] ბდა მადრიდში ახალმოსულ [illegible] დერლეი ლუშემბურგო [illegible] ლაც „გამხდარმა“ რონალდომ [illegible] რილში აიწყვიტა...

**პაპუნა კედია**

*(გაგრძელება ხვალინდელ სარბიელში)*



**ვანდერლეი ლუშემბურგოს ვარჯიშები „რეალის“ ფეხბურთელებისთვის ბოლოს მაინც მისაღები გახდა**

# ოჯახური მიზეზის გამო რონალდო ნაკრებსაც გაეყარა



**რონალდომ** სანაკრებო მატჩებისგან გათავისუფლება ითხოვა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან თანხმობაც მიიღო. მადრიდის „რეალის" ფორვარდმა ივნისში, გერმანიაში გასამართ კონფედერაციის თასზე თამაში პირადი მიზეზების გამო არ ისურვა. მან ამის შესახებ კარლოს ალბერტო პარეირას უთხრა და მწვრთნელიც დაჰყაბულდა.

„რონალდო ტელეფონით მესაუბრა და თავისი მდგომარეობა ამიხსნა, მე კი ფედერაციას ვაცნობე და ერთად გადავწყვიტეთ, რომ ფეხბურთელს დასვენების საშუალება მივცეთ" — განაცხადა პარეირამ.

რონალდო კონფედერაციის თასის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩსაც (პარაგვაისთან და არგენტინასთან) გამოტოვებს, თუმც მას ეს არ უთხოვია.

„მე მხოლოდ გერმანიაში წასვლა ვიუარე, თორემ პარაგვაისთან და არგენტინასთან სათამაშოდ მზად ვიყავი, მაგრამ რაკი ასე გადაწყდა... ძალიან მძიმე დღეები გადავიტანე და დასვენებაც მჭირდება" — თქვა რონალდომ, რომელიც მაისის დასაწყისში მეუღლე დანიელა ჩიკარელის გასცილდა. არადა, აწ უკვე ყოფილმა წყვილმა სამი თვის წინ პარიზში დიდი ქორწილი გადაიხადა.

კარლოს ალბერტო პარეირამ ფეხბურთელები ადრევე გააფრთხილა, კონფედერაციის თასზე თამაშს ვინც იუარებს, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე წამსვლელ ნაკრებში ადგილს დაკარგავსო, მაგრამ რონალდოს ეს არ ემუქრება.

ბრაზილია სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ახლა მეორე ადგილზეა, რონალდო კი — შვიდი გოლით საუკეთესო ბომბარდირი. შარშან ბრაზილიამ მისი ჰეთ თრიქით არგენტინა 3:1 დაამარცხა.

პარეირამ რონალდოს ნაცვლად ნაკრებში „სან პაულუს" ფორვარდი გრაფიტე გამოიძახა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კიკე სანჩეს ფლორესი „ვალენსიას" ახალი თავკაცია

# ვალენსიამაც დაიწყო არის მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელი

**ესპანურ** „ვალენსიას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — ანტონიო ლოპესმა, რომელმაც „ღამურებს" კლაუდიო რანიერის გადადგომის შემდეგ უთავკაცა, გუშინ პოსტი თავისი ნებით დატოვა და მის ნაცვლად კლუბის უფროსობამ „ხეტაფეს" აწ უკვე ყოფილი თავკაცი კიკე სანჩეს ფლორესი დანიშნა.

„ახლა „ვალენსიაში" ახალ სპორტულ დირექტორ ხავიერ სუბირატსთან და მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესთან ერთად სხვა ერა იწყება. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი შემართებით ჩვენ იმ დიადი გუნდის სახელს დავიბრუნებთ, ხუთი წლის წინ, გრანდების რისხვა რომ იყო" — განუცხადა „ვალენსიას" პრეზიდენტმა ხუან სოლერმა იქაურ მედიას.

კიკე სანჩეს ფლორესი ახალგაზრდა მწვრთნელია, თუმც მომავალი გუნდის ავანჩავანს ხელმიწვდენით კარგად იცნობს. ფეხბურთელობისას იგი „ვალენსიას" ღირსებას 10 სეზონის მანძილზე იცავდა.

იმაზე, თუ რამდენი ხნით გაჩერდება სანჩეს ფლორესი „ვალენსიაში", პრეზიდენტ სოლერს ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, თუმც სიხარულით გაამხილა, მწვრთნელთან ერთად ახალი ფეხბურთელიც შევიძინეთო. ვინ? ლონდონური „არსენალის" ბრაზილიელი ედუ, ვინაც ვალენსიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩავიდა და ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ლადო ხომერიკი**



# პალერმოს ზემანის მშინია

*ბოლო დღეებში იტალიური პრესის ყურადღების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი სიცილიური „პალერმოა". მოგეხსენებათ, „რენცო ბარბერას" ბინადრები მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებენ, მაგრამ კლუბის ამბიციური პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ამით არ კმაყოფილდება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას გეგმავს*

**საბოლოოდ** გადაწყდა, რომ მალე გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება — სიცილიელთა წარმატების მთავარმა შემოქმედმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ კლუბის უფროსობასთან საერთო ენა ვერ გამონახა და პოსტი დატოვა.

„მე და ძამპარინიმ მშვიდად ვისაუბრეთ. ბევრ რამეში ერთნაირი აზრიც გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, წასვლა სწორი გადაწყვეტილებაა. ძალიან მწყდება გული, ალბათ ვეღარასდროს გავწვრთნი ასეთი მხურვალე ქომაგების პატრონ გუნდს" — აღნიშნა გვიდოლინიმ.

წესით, ახალი მწვრთნელის ვინაობა უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს. კანდიდატი კი ბევრია, მათ შორის — ალბერტო ძაკერონი, ჩეზარე პრანდელი და ლუიჯი დელ ნერი. გამოირიცხა ზდენეკ ზემანის ვარიანტი, რადგანაც ძამპარინიმ განაცხადა, ზემანი ძალიან მოგვწონს, მაგრამ მისთვის დაცვა არ არსებობს და ეს ცოტა გვაშინებსო. ვთქვათ ისიც, რომ თავად ჩეხ სპეციალისტსაც „რომაში" დაბრუნების პერსპექტივა უფრო ხიბლავს, ვიდრე სიცილიელთა დამრიგებლობა.

ბოლოს კი ტყუპებზე — ემანუელე და ანტონიო ფილიპინებზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, მათ გასული სეზონი „ლაციოში" გაატარეს და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. შესაბამისად, დედაქალაქელებს ძმები ფილიპინების შენარჩუნება უნდათ და მათ გამოსყიდვას გეგმავენ. თუმც „პალერმოს" დირექტორმა რინო ფოსკიმ განაცხადა — ემანუელე და ანტონიო გუნდს სჭირდებიან და მათ დათმობას არ ვაპირებთო.

**გიორგი ძაძამიძე**

# ევერტონი ჩელსის ყიდულობს

*ლივერპულის „ევერტონმა" თითქმის მოაკვარახჭინა მიკაელ ფორსელის ტრანსფერი და „ჩელსის" ფინელი ფორვარდიც ალბათ, მალე პრემიერლიგის ყველაზე მძიმე გუნდის წევრი გახდება. „ევერტონის" აღმასრულებელმა დირექტორმა ამის თაობაზე გუშინ განაცხადა: „კლუბის წარმომადგენლებთან გარიგებაზე ვისაუბრეთ. შეთანხმება ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ბევრიც არ უკლია"*

**გერმანიაში** დაბადებული მიკაელ ფორსელი ექვსი წლის წინ „ჩელსიმ" ჰელსინკის „ჰიკიდან" გადაიბირა და მისი საფეხბურთო მოგზაურობაც აქედან დაიწყო: 1999-2001 წლებში იგი „კრისტალ პალასში" გაანათხოვრეს, მერე კვლავ „ჩელსიში" დაბრუნდა და ერთი სეზონი ლონდონში გაატარა. 2002-ში მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გაუშვეს, 2003 წელს კი ბუნდესლიგიდან ისევ პრემიერლიგას მიაკითხა და ორი სეზონი „ბირმინგემში" ითამაშა.

მოგეხსენებათ, „ევერტონმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა და მწვრთნელმა დევიდ მოიესმაც გუნდის გაძლიერება აქედანვე დაიწყო. მან უკვე შეიძინა „ტოტენჰემის" ნახევარმცველი საიმონ დევისი და ფორსელის გარდა, „ჩელსიდან" სკოტ პარკერის გადაყვანაც სურს.



სკოტ პარკერს თამაში მოენატრა

პარკერმა ტრავმის გამო ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ისედაცვარსკვლავებით სავსე „ჩელსიში" ამის გაკეთება გაუჭირდება. მას თავადაც სურს სხვა კლუბში გადასვლა, რათა უფრო მეტხანს ითამაშოს და ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ყურადღება დაიმსახუროს. ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, სკოტ პარკერი კარგი ფეხბურთელია და წასვლას თუ ისურვებს, ძალით ვერ დავაკავებთო.

დევიდ მოიესის ვარაუდით, „ჩელსი" სკოტ პარკერის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

„გუდისონ პარკის" ბინადრები „სოსიედადისგან" მიკელ არტეტას კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვასაც აპირებენ. ხოლო „ტრანმერის" 20 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელ რაიან ტეილორის „ევერტონში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კარგი ბიჭები ძველ ადგილას
## ვესტ ჰემი ისევ პრემიერლიგაშია

**ბობი ზამორას** მიერ მეორე ტაიმში გატანილმა გოლმა „ვესტ ჰემს" „პრესტონი" დაამარცხებინა და პრემიერლიგაში დააბრუნა.

მესამე და უკანასკნელ საგზურთან ერთად „ვესტ ჰემი" 30 მილიონ გირვანქასაც მიიღებს, ხოლო მენეჯერი ალან პერდიუ კი სამსახურს შეინარჩუნებს.

გუშინწინ „ვესტ ჰემმა" კარდიფის „მილენიუმზე" ოთხთა ფინალში სძლია „პრესტონს" და მესამე-მეექვსე ადგილოსანთა შორის გამარჯვებულმა კვლავ შეაღო პრემიერლიგის კარი.

თამაშის ერთადერთი გოლი 57-ე წუთზე გავიდა: ზამორამ საუცხოოდ გაითამაშა ბურთი მეთიუ ეზერინგტონთან და კართანაც თავად შეეგება ამ უკანასკნელის კროსს.

იმის მიუხედავად, რომ თამაშის მიწურულს „ვესტ ჰემს" მეკარე ჯიმი უოკერი დაემტვრა, ხოლო მსაჯმა 7 წუთი დაამატა ძირითად დროს, პერდიუს გუნდს შიში არ გაჰკარებია — ეს მოგება „ვესტ ჰემს" ეკუთვნოდა: თამაშში საგოლე შანსები და უპირატესობა პირველივე წუთიდან მისი იყო.

„ვესტ ჰემი" შარშანაც ასეთი გამოცდის წინაშე იდგა და ასეთსავე ფინალში „კრისტალ პალასთან" წააგო, რამაც გუნდის პირველ დივიზიონში ჩარჩენა გამოიწვია. ახლა „პალასი" ისევ დაბლა დაბრუნდა, „ჩაქუჩები" კი პრემიერლიგის კარი შეაღეს.






მაურინიო, გვიფრთხილდი! — პრემიერლიგაში დაბრუნებული „ვესტ ჰემი" რატომღაც „ჩელსის" დაემუქრა

ფინალის დღეს, გუნდს კაპიტანი კრისტიან დეილიც აკლდა და ვეტერანი ტედი შერინგემიც — შერი განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ შესულა, კრისი კი ტრავმირებული გახლდათ: „ეს საოცარი დღეა. მე საშინელი სეზონი მქონდა, ხშირად მიცდებოდა თამაშები, მაგრამ ბიჭები შეუდარებელნი იყვნენ".

შერომ კი, რომელიც კარიერის ბოლოსდა მოხვდა თავისი ბავშვობის საყვარელ გუნდში, თქვა: „ამ სეზონში რამდენიმე თამაში სრულიად ზღაპრული გამოგვივიდა. ამ [illegible]

**ირაკლი გამყრელიძე**



ჩეზარე პრანდელი „ფიორენტინას" ელაპარაკება

# პრანდელის იები მოსწონს

**მიუხედავად** იმისა, რომ დინო ძოფმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა „ფიორენტინას" სერია A-ში დატოვება, იგი პოსტზე დარჩენას არ აპირებს. შესაბამისად, ფლორენციელთა უფროსობამ უკვე დაიწყო მომავალი თავკაცის ძიება, რომელიც სავარაუდოდ, ჩეზარე პრანდელი იქნება.

„მე უკვე შევხვდი გუნდის პრეზიდენტ დიეგო დელა ვალეს. ჩვენ ძალიან სასიამოვნო საუბარი გვქონდა. ფლორენციელებს დიდი სიხარულით ჩავუდგებოდი სათავეში. სხვა წინადადებებიც მაქვს, მაგრამ „ფიორენტინა" ჩემს სიაში პირველია" — განმარტა პრანდელიმ.

როგორც იცით, „პარმას" ყოფილი თავკაცი სეზონის დასაწყისში სულ რამდენიმე კვირით წვრთნიდა „რომას", მაგრამ ეს პოსტი მეუღლის ავადმყოფობის გამო დატოვა. ახლა კი ყველაფერი რიგზეა და პრანდელი დიდი ენთუზიაზმით ბრუნდება ფეხბურთში.

ჩეზარე პრანდელი: „ფიორენტინა" სწორედ ის გუნდია, რომელიც შემიძლია, ჩემს სტილში ავათამაშო. გუნდში ძალიან პერსპექტიული ბიჭები არიან, ხოლო ფლორენციელი ტიფოზების ამბავი თავადაც კარგად მოგეხსენებათ".

„იების" გენერალური დირექტორი ფაბრიციო ლუკეზი: „ძალიან გვიხარია, რომ ისეთ პროფესიონალს, როგორიც პრანდელია, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი აქვს. თუმც განვიხილავთ სხვა კანდიდატურებსაც და ვფიქრობთ, ყველაფერი 2-3 კვირაში გაირკვევა".

**გიორგი ქაქაბაძე**

# რაფა სამშობლოში, ტალანტების ძიებაშია
## სიაში პირველი მილიტოა

**ინგლისური** „ლივერპული" და კერძოდ კი, მისი ესპანელი თავკაცი რაფა ბენიტესი ახალ ფეხბურთელებს, ნუ გაიკვირვებთ და ისევ პირინეებზე ეძებს. მერსისაიდელთა სამიზნეები ამჯერად გაბრიელ მილიტო და მიკელ როკე არიან.

„ვიცით, რომ „ლივერპული" მილიტოთი არის დაინტერესებული და მალე, ალბათ, წინადადებასაც მივიღებთ, რომელსაც სავარაუდოდ, დავთანხმდებით. კლუბის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, წამყვან მოთამაშეებთან განშორება გვიწევს. თუმცა, თუ სათანადო თანხას არ შემოგვთავაზებენ, გაბრიელი არ გაიყიდება" — განაცხადა „სარაგოსას" სპორტულმა დირექტორმა მიხელ პარდესმა.



გაბრიელ მილიტოს თვალი „ლივერპულმა" დაადგა

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ 24 წლის არგენტინელი მადრიდის „რეალმა" დაიწუნა, რის მერეც იგი „სარაგოსაში" ჩაირიცხა და მშვენიერ შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

რაც შეეხება მიკელ როკეს, სეგუნდადივიზიონის ბინადარ „ლეიდას" 16 წლის ფეხბურთელი ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ ითვლება. მას უკვე „რეალმა" და „ბარსელონამ" დაადგეს თვალი, მაგრამ „ლივერპულმა" ყველას დაასწრო და სავარაუდოდ, მხარეები მალე კონტრაქტსაც გააფორმებენ.

ამასობაში, გაირკვა, რომ მერსისაიდელებმა თავიანთ მთავარ სპონსორ „კარლსბერგთან" ახალი შეთანხმება გააფორმეს. ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მოხდა. ლუდის მწარმოებელი ცნობილი დანიური ფირმა „ლივერპულს" კი- [illegible]

**გიორგი ქაქაბაძე**

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 42 | რუსელარე-ვაასლანდი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:30 | 43 | ანტვერპენი-გეელი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 74 | ჰაკა-ინტერი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 20:00 | 75 | ტპ 47-მიუპა | 3.2 | 3.0 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 76 | ჰიკ-ალიანსი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 17:00 | 77 | კუოპიო-მარიეჰამნი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 78 | კტპ-როვანიემი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 81 | კორკი-ჰერპსი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 22:45 | 82 | დერი-დროგედა | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 22:45 | 83 | შემროკი-ბოჰემიანი | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 22:45 | 84 | სტ.პატრიკსი-ბრეი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 85 | დუბლინი-შელბურნი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 80 | უოტერფორდი-ლონგფორდი | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 95 | ჩივასი-კანზასი | 3.0 | 3.2 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 202 | სერო-კოლონია | 2.05 | 3.0 | 3.3 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 203 | ფენიქსი-პენიაროლი | 4.4 | 3.4 | 1.65 | 1.91 | 1.2 | 1.11 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 204 | კოკიმბო-ევერტონი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 205 | კონსეპსიონი-კობრესალი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 196 | უზბეკეთი-ს.კორეა | 4.3 | 3.2 | 1.7 | 1.83 | 1.21 | 1.11 |
| 22:05 | 197 | ს.არაბეთი-კუვეიტი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:30 | 198 | ირანი-კორეა | 1.25 | 4.9 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.23 |
| 20:30 | 199 | ბაჰრეინი-იაპონია | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 101 | რუსეთი-ლატვია | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 102 | შოტლანდია-მოლდოვა | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 19:00 | 103 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 8.0 | 4.8 | 1.3 | 3.0 | 1.11 | 1.02 |
| 19:00 | 104 | ესტონეთი-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 19:00 | 105 | სომხეთი-მაკედონია | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 106 | ჩეხეთი-ანდორა | 1.01 | 15.0 | 30.0 | 1.0 | 1.0 | 10.0 |
| 19:00 | 107 | ბულგარეთი-ხორვატია | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 19:15 | 108 | შვედეთი-მალტა | 1.02 | 10.0 | 30.0 | 1.0 | 1.0 | 7.5 |
| 19:30 | 109 | ფარერები-შვეიცარია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 110 | უკრაინა-ყაზახეთი | 1.05 | 10.0 | 25.0 | 1.0 | 1.0 | 7.14 |
| 21:00 | 111 | ბელარუსი-სლოვენია | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 112 | თურქეთი-საბერძნეთი | 2.0 | 3.0 | 3.6 | 1.2 | 1.28 | 1.63 |
| 22:05 | 113 | ისლანდია-უნგრეთი | 2.65 | 3.0 | 2.6 | 1.4 | 1.31 | 1.39 |
| 22:15 | 114 | სერბია-ბელგია | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 22:30 | 115 | ნორვეგია-იტალია | 3.5 | 3.1 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 22:30 | 116 | სან მარინო-ბოსნია | 12.0 | 6.0 | 1.15 | 4.0 | 1.04 | 1.0 |
| 22:30 | 117 | ირლანდია-ისრაელი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:30 | 118 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.45 | 3.9 | 6.5 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 22:30 | 119 | ალბანეთი-საქართველო | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:45 | 120 | პორტუგალია-სლოვაკეთი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:30 | 121 | ესპანეთი-ლიტვა | 1.15 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.21 |
| 23:45 | 188 | ტრინიდადი-პანამა | 1.8 | 3.2 | 3.9 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 23:45 | 189 | გვატემალა-მექსიკა | 4.5 | 3.3 | 1.65 | 1.9 | 1.2 | 1.1 |
| 23:45 | 190 | აშშ-კოსტა რიკა | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 191 | ვენესუელა-ურუგვაი | 2.65 | 3.1 | 2.5 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 192 | ჩილე-ბოლივია | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 193 | ეკვადორი-არგენტინა | 3.9 | 3.3 | 1.8 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| 23:45 | 194 | კოლუმბია-პერუ | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 195 | ბრაზილია-პარაგვაი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 177 | ფინეთი-დანია | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 123 | აზერბაიჯანი (21)-პოლონეთი(21) | 6.0 | 4.3 | 1.4 | 2.5 | 1.13 | 1.05 |
| 18:00 | 124 | ალბანეთი(21)-საქართველო(21) | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 19:00 | 125 | ბულგარეთი (21)-ხორვატია(21) | 2.9 | 3.1 | 2.2 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 19:30 | 126 | სერბია(21)-ბელგია(21) | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:00 | 127 | უკრაინა(21)-ყაზახეთი (21) | 1.05 | 8.0 | 13.0 | 1.0 | 1.0 | 4.95 |
| 20:00 | 128 | ბელარუსი(21)-სლოვენია(21) | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:00 | 129 | შვედეთი(21)-მალტა(21) | 1.05 | 8.5 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.42 |
| 21:00 | 130 | ირლანდია(21)-ისრაელი (21) | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 21:30 | 131 | ჰოლანდია(21)-რუმინეთი(21) | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 22:00 | 132 | ნორვეგია(21)-იტალია(21) | 3.2 | 3.1 | 2.0 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| 22:00 | 133 | თურქეთი(21)-საბერძნეთი(21) | 1.9 | 3.1 | 3.5 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 23:45 | 134 | ესპანეთი(21)-ლიტვა(21) | 1.1 | 6.5 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.53 |
| 22:00 | 135 | ისლანდია(21)-უნგრეთი(21) | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 22:30 | 136 | სან მარინო(21)-ბოსნია(21) | 9.0 | 5.3 | 1.2 | 3.33 | 1.05 | 1.0 |
| 22:45 | 137 | შოტლანდია(21)-მოლდოვა (21) | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 23:45 | 138 | პორტუგალია(21)-სლოვაკეთი(21) | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 14:00 | 122 | სომხეთი(21)-მაკედონია(21) | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 13:00 | 139 | რუსეთი(21)-ლატვია(21) | 1.25 | 4.8 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.06 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22:15 | 140 | რაპიდი-აუსტრია | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 141 | ოსერი-სედანი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20:30 | 144 | ოლმე-კალმარი | 7.0 | 4.5 | 1.3 | 2.73 | 1.09 | 1.0 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 182 | ატლეტიკო პრ-სანტოსი | 2.5 | 3.4 | 2.3 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 23:45 | 183 | სან პაულუ-ტიგრესი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 185 | ბანფილდი-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 186 | ჩივასი-ბოკა ხუნიორსი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **შვეიცარია. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 21:30 | 201 | შაფჰაუზენი-ვადუცი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 163 | ფენიქსი-სან ანტონიო | 1.6 | 12.0 | 2.1 | 1.41 | 1.0 | 1.78 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22:15 | 166 | ბოლონია-რომა | 1.45 | 12.0 | 2.45 | [illegible] | [illegible] | 2.03 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 167 | აეკ-მარუსი | 1.35 | 12.0 | 2.8 | 1.21 | 1.0 | 2.27 |
| 20:00 | 168 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 2.6 | 12.0 | 1.35 | 2.13 | 1.0 | 1.21 |

**ჩოგბურთი.კაცები Roland Garros**

**1 ივნისი**

13:00 311 დავიდენკო-რობრედო ------------------ 1.65 ------------------ 2.1

13:00 312 კანასი-პუერტა ------------------ 1.55 ------------------ 2.3

**კრივი**

**1 ივნისი**

23:45 703 კ. ცზიუ-რ. ხატონი ------------ 1.4 ------------ 22.0 ------------ 2.65

**3 ივნისი**

22:30 704 ს. ხარისონი-მ. ბროდი --------- 1.4 ------------ 22.0 ------------ 2.65


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №14 | |
| **თელავი** | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| **ოზურგეთი** | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| **საგარეჯო** | დავით აღმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## ძიუდო

# ვარაზულის დასასრული
## საგარეჯო ევროპაში გაფრინდა



**ძიუდოს** კლუბი „საგარეჯო" წუხელ გერმანიაში გაფრინდა. შაბათამდე აბენსბერგში ივარჯიშებს, მერე კი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს სწორედ „აბენსბერგთან" დაპირისპირებით გახსნის. სასტუმრო „ვარაზში" ჩატარებული ერთკვირიანი შეკრების შემდეგ ახალმა ქართულმა კლუბმა ტურნირისწინა ბოლო თბილისური პრესკონფერენცია გუშინ „ვარაზშივე" გამართა.

საგარეჯოელები ჟურნალისტების პირისპირ ერთნაირ სპორტულ ფორმაში გამოწყობილნი წარსდგნენ. კლუბის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა გია ნაცვლიშვილმა და მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა შეკრება შეაფასეს და მომავალ მეტოქეზეც ისაუბრეს. ნაცვლიშვილმა პირველ რიგში გერმანიაში წამსვლელი შემადგენლობა გამოაცხადა. თორმეტკაციანი სიიდან ათი მის გვერდით იყო. ჯარჯი ზვიადაური, გია გუგავა და გუნდის მწვრთნელი, ამავდროულად საბერძნეთის ნაკრების დამრიგებელი ნიკოს ილიადისი პირდაპირ გერმანიაში ჩავლენ.

პრეზიდენტის სიტყვა იმედიანი იყო — თუ უსამართლოდ არ მოგვექცნენ, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთო. არაობიექტური მსაჯობის საშიშროება არბიტრთა ვინაობების გარკვევისთანავე გაჩენილა. სამი მსაჯიდან ორი პორტუგალიელია, ერთიც ებრაელი და რადგან მათი თანამემამულეები „აბენსბერგის" კიმონოებით ჭიდაობენ, შეიძლება, გარკვეული სიმპათიები ჰქონდეთო, გვითხრა პრეზიდენტმა.

დამაგრავენ თუ არა ჩვენებურებს, საკუთარი თვალით ვნახავთ. შაბათს დილის თორმეტი საათიდან საზოგადოებრივ არხზე „აბენსბერგი" — „საგარეჯოს" ბრძოლის პირდაპირი ტრანსლაცია რომ შედგება, უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

თითქმის გამორიცხულია გერმანელების წინააღმდეგ ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის ჭიდაობა. კონტრაქტით იგი 2005 წლის ბოლომდე აბენსბერგელია და „საგარეჯოს" ღირსებას წლეულსვე რომ იცავს, მხოლოდ გერმანელთა კეთილგანწყობის შედეგია. ერთადერთი, რასაც იქაური კლუბის თავკაცები უარობენ, „აბენსბერგის" წინააღმდეგ ზურაბის დაყენებაა და თუ სასწაული არ მოხდა, ასეც იქნება. ნაცვლიშვილს კი კონკურენტების დაყოლიების მცირე იმედი მაინც შერჩენია, გერმანიაში ჩავალთ თუ არა, ზვიადაურის თაობაზე ჩვენთვის სასურველი პასუხის მისაღებად მოლაპარაკებას მაინც გავაგრძელებო.

შოთა ხაბარელმა გუნდის კაპიტნად ნესტორ ხერგიანი, ხოლო საპატიო კაპიტნად ვეტერანი გივი ონაშვილი დაასახელა, მერე კი ბიჭების სადღეისო მზადყოფნაზეც ისაუბრა:

— გვესმის, რომ ურთულესი ბრძოლა გველის. თუ შემადგენლობის სიძლიერის მიხედვით ვიმსჯელებთ, „აბენსბერგი" ჩვენთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესოა და საკუთარ კედლებში უფრო ძლიერი იქნება, მაგრამ ჩვენ გერმანიაში მხოლოდ მოსაგებად მივდივართ და იმედია, ასეც იქნება. საბოლოო შემადგენლობა შეხვედრის დაწყებამდე ათი წუთით ადრე უნდა დავაყენო, ასე რომ, ჯერ კიდევ მაქვს დრო.

— „თუ „აბენსბერგს" გავცდით, მეორე წრის შეხვედრას იმავე დღეს, რამდენიმე საათში ჩავატარებთ. თითო გუნდთან თოთხმეტი ბრძოლა გვექნება, ყველა წონაში ორ-ორი სპორტსმენია და ამა თუ იმ ძიუდოისტის შეცვლა შეჯიბრის მიმდინარეობისასაც შეიძლება.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტი ბრძოლები შემოდგომაზე გაიმართება, აბენსბერგში კი ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ოთხი უძლიერესი კლუბი გამოვლინდება. თექვსმეტ მონაწილეს შორის ყველაზე მეტი ქომაგი, რა თქმა უნდა, „აბენსბერგს" ეყოლება, თუმც უგულშემატკივრობას ვერც საგარეჯოელები იგრძნობენ. დაახლოებით სამოცკაციან ქართულ დელეგაციას გერმანიაში მყოფი ქართველებიც შეუერთდებიან და იქნებ ქართულმა ყიჟინამ გერმანულიც გადაფაროს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჭიდაობა

# ოღონდ ვინმე მოვიდეს

**11 თებერვლიდან** უპრეზიდენტოდ დარჩენილ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას დღეს ოფიციალური პირველკაცი გამოუჩნდება. 12 საათზე ჭადრაკის სასახლის საპრესკონფერენციო დარბაზში ჭიდაობაში მოტრიალე ხალხი შეიკრიბება და მისთვის სასურველ კანდიდატს აირჩევს.

4 მაისის ჩაშლილი არჩევნების შემდეგ პრეზიდენტობის მსურველთა სია ვეტერანმა მოჭიდავე ლევან თედიაშვილმა გაათხა, თუმც გუშინწინ პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა და ამავდროულად კანდიდატმა თემურ ყაზარაშვილმა კანდიდატურა მოხსნა და არჩევანიც თედიაშვილსა და ორ პარლამენტარს შორის გაკეთდება.

სავარაუდოდ, მთავარი ბრძოლა სწორედ პარლამენტარებს შორის უნდა გაიმართოს. ვალერი გელაშვილი საჭიდაო წრეებში გვარიანი პოპულარობით სარგებლობს და ერთი თვის წინ რომ არჩევნები ჩატარებულიყო, ალბათ უპრობლემოდაც გაპრეზიდენტდებოდა, მაგრამ ახლა კულუარულ ინფორმაციას თუ მოვიშველიებთ, ხელისუფლების ფავორიტ კახა გეწაძესთან ბრძოლაში შანსები ერთი-ორად შეუმცირდა.

რა და როგორ იქნება, წინასწარ არავინ იცის. პრეზიდენტობის კანდიდატთა შანსებზე ღია საუბრისგან ჭიდაობის ფედერაციაში გუშინ ყველა თავს იკავებდა. თავიანთი პოზიციის გამხელასაც ერიდებოდნენ, ყველას პასუხი ერთნაირი იყო, ოღონდ საქმეს წერტილი დაესვას, ფედერაციას ძლიერი პატრონი გამოუჩნდეს და პირველი კაცი ვინ იქნება, მნიშვნელობა არ აქვსო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## კალათბურთი

# ბოისამ და მარკოიშვილმა ოქრო იყნოსეს
## შემონდი რუსეთს ემშვიდობება

ვლადიმერ ბოისასა და მანუჩარ მარკოიშვილს სლოვენიურ ოქროსთან ერთი ნაბიჯიღა აშორებთ. ლიუბლიანის „ოლიმპიამ" წაუგებლად განვლილი რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ ნახევარფინალურ სერიაში 2:0 დაამარცხა მეოთხეადგილოსანი „ჰელიოსი" და ახლა ფინალში თანაქალაქელ „სლოვანს" შეებრძოლება. „ოლიმპიამ" ბოისასა და მარკოიშვილის შენევნით მშრალად განვლო სლოვენიის ექვსეული. ათიდან ათი გამარჯვებით ლიუბლიანელებმა, ცხადია, პირველი ადგილი დაიკავეს და სანახევარფინალო მეტოქედ შედარებით სუსტი „ჰელიოსი" ირგუნეს.

**რა** თქმა უნდა, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ „ოლიმპია" ამ ბარიერს დიდი ძალისხმევის გარეშე დაძლევდა და ასეც მოხდა. ლიუბლიანელებმა შინ 77:64 დაამარცხეს „ჰელიოსი", საპასუხო მატჩში კი გასვლაზე უფრო იოლად, 92:59 დასცეს მეტოქე და ფინალში გავიდნენ.

როგორც ყოველთვის, ამ მატჩებშიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ საქართველოს წარგზავნილები, თუმც მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ვლადიმერ ბოისამ უჩვეულოდ ცოტა ხნით ითამაშა. აღარც კი გვახსოვს, ვოვამ როდის გაატარა მოედანზე 20 წუთზე ნაკლები დრო, ახლა კი სულ რაღაც 9 წუთი მოუხდა ბურთაობა. სავარაუდოდ, მან ტრავმა მიიღო, თუმც რამდენად სერიოზული, ამას არ იტყობინებიან.

ამ მატჩის ბომბარდირი, რომელშიც ბოისამ მხოლოდ 9 წუთი ითამაშა, მანუჩარ მარკოიშვილი გახდა 15 ქულით. როგორც სჩვევია, „მანომ" ამჯერადაც დიდი სიზუსტე გამოიჩინა, სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და მხოლოდ თითო ჯარიმა და ორქულიანი აუცდა.

პირველ ნახევარფინალურ ჯახშიც არა უშავდა მარკოიშვილს, 23 წუთში 8 ქულა მიითვალა, თუმც გაცილებით უკეთესი შედეგიანობა ბოისამ გამოიჩინა. ვოვამ 15 ქულა დააგროვა და თავისიანთაგან მხოლოდ საშა ოზბოლტს ჩამორჩა.

ფინალში ოლიმპიელთა მეტოქე იქნება ლიუბლიანის „სლოვანი", რომელმაც მეორე ნახევარფინალურ სერიაში დავით უგრეხელიძის „პივოვარნა" დაამარცხა. მელუდეებმა რეგულარულში მეორე ადგილი დაიკავეს და მოედნის უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ ეს კოზირი პირველივე შეხვედრისას დაკარგეს, როცა შინ 84:95 წააგეს „სლოვანთან".

საპასუხო შეხვედრამ კი ძალიან დრამატულად ჩაირა. „პივოვარნა" კბილებით ეპოტინებოდა ფინალის საგზურს, მაგრამ არ გამოუვიდა. „სლოვანმა" დამატებით დროში 94:93 იმარჯვა. ამ მატჩში უგრეხელიძემ 6 წუთი ითამაშა და 5 ქულა მიითვალა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ლეგიონერის ასე ხანმოკლე თამაშის მიზეზი პერსონალური ჯარიმები იყო. უგრეხელიძემ 6 წუთში 5 ჯარიმა მიიღო და სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა.

და ერთი ლეგიონერიც, რომელიც ევრომოედნებს გასულ კვირამდე შემორჩა. შემონდ უილიამსის „უნიქსმა" საწყისი ორი მარცხის შემდეგ მიჯრით ორჯერ იმარჯვა და ნახევარფინალური სერიის ბედი ბოლო მატჩამდე მიიყვანა. მოედნის უპირატესობის მქონე „დინამომ" გადამწყვეტი მატჩი მოსკოვში გამართა და დაძაბულ ბრძოლაში 82:73 დაამარცხა „უნიქსი".

უილიამსი 25 ქულით მატჩის ბომბარდირი კი გახდა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია ისედაც მექულეობას ნაჩვევი გამთამაშებლისთვის. ამ მარცხით „უნიქსი" რუსული ოქროსთვის ბრძოლას ჩამოშორდა და ახლა ბრინჯაოსთვის დედაქალაქურ „ხიმკისთან" მოუწევს ჭიდილი.



ვლადიმერ ბოისა

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ჰელიოსი<br>ჰელიოსი | შ<br>ს | 77:64<br>92:59 | 31<br>9 | 15<br>4 | 5<br>4 | 1<br>1 | 0<br>0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ჰელიოსი<br>ჰელიოსი | შ<br>ს | 77:64<br>92:59 | 25<br>21 | 8<br>15 | 3<br>1 | 2<br>0 | 1<br>1 |
| შემონდ უილიამსი | უნიქსი | სუპერლიგა (რუსეთი) | დინამო | ს | 73:82 | 38 | 25 | 4 | 3 | 2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | სლოვენიის ჩემპიონატი | სლოვანი<br>სლოვანი | შ<br>ს | 84:95<br>93:94 | 15<br>6 | 2<br>5 | 1<br>0 | 0<br>0 | 1<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

**ირაკლი პერტაია**

NBA PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

# ექსელენთ, ბრილიანთ!

## ამარემ დანკანზე ხელი აღმართა



30 მაისი

**დასავლეთი**

**ფინიქსი 1:3 სან ანტონიო**

**სან ანტონიო 106:111 ფინიქსი**

**სან ანტონიო:** პარკერი (13), ჯინობილი (28), ბოუენი (15), დანკანი (15 ქულა, 16 მოხსნა), მუჰამედი (8); ჰორი (15), უდრიჰი (9), ბერი (3)

**ფინიქსი:** ნეში (17 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (26), რიჩარდსონი (14), მარიონი (11 ქულა, 14 მოხსნა), სტუდემაიერი (31); ჯეკსონი (8), ჰანტერი (4)

**„ფინიქს სანზის“** ყმაწვილ ცენტრ ამარე სტუდემაიერს იმდენი უკიჟინეს, ტიმ დანკანისგან ბევრი გაქვს სასწავლიო, რომ ყველაფერი ყელში ამოუვიდა და ხალხს დაანახვა — აღარც ისეთი პატარა და უსუსურივარ, როგორც გგონიათ და როგორსაც მხატავთო. წლეულს ბიჭს „სან ანტონიოსთვის“ 30 ქულაზე ნაკლები არ ჩაუგდია და მაინც ოროსანი ბავშვივით ტუქსავდა საზოგადოება, დანკანს კი სიბეჯითის (სტაბილურობის) განსახიერებად სახავდა. ჰოდა, ამარემ ეს სტერეოტიპული შეხედულებაც გააქარწყლა.

„ფინიქსს“ ეს მატჩიც რომ წაეგო, მერე ვნახავდით, რა დღეში ჩააგდებდნენ სტუდემაიერს, მან ხომ „მხოლოდ“ 31 ქულა გააკეთა და ეს მისი ანტირეკორდია „სან ანტონიოსთან“ ამ სეზონის შვიდ თამაშში, მაგრამ „ფინიქსმა“ მოიგო და სწორედაც სტუდემაიერის ფხისა და მარიფათის წყალობით. არც 31 ქულაა ურიგო შედეგი, თუმც ქულები გვერდზე გადავდოთ, მატჩის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე მან ისე ეშხიანად დაუფარა ჩასატენად შემხტარ დანკანს, რომ თვით გიჟმაჟმა სანანტონიოელმა ქომაგებმა ძლივს სძლიეს მისი ტაშით დაჯილდოების ცდუნებას. „ფინიქსი“ ამ დროს 3 ქულით იგებდა და დანკანს ის ბურთი რომ ჩაეგდო, „სან ანტონიო“ სახიფათო მანძილით მიეპარებოდა ისედაც ყველა მანამდელი თამაშის წამგებ „სანზს“.

არა, ამ დრამატული შეხვედრის ბოლო წუთნახევარი ჭეშმარიტად სტუდემაიერისა იყო — ამ დაფარების გარდა მან ერთი ჩაჭრა, ერთი უმნიშვნელოვანესი მოხსნა გააკეთა და ზედაც ოთხი ჰაერივით საჭირო ქულა დაურთო.

და რას საქმიანობდა ამ დროს ტიმ დანკანი? ვერც ვერაფერს. პლეიოფის უარესი მატჩი ჩაატარა და თამაშიდან ტყორცნებს ვინ ჩივის, საჯარიმოები გააფუჭა არასაპატიო ოდენობით — 12 ცდიდან 9 ააცილა და სულ რაღაც 15 ქულით მიეშველა „სფურზს“, რომელსაც წინა შეხვედრაში განსაკუთრებით დაჩაგრულმა „ფინიქსმა“ ბურთები ფრთოსანი რაკეტებივით დაუშინა.

„სანზის“ წინგამძღოლ სტივ ნეშს აზალს, აბა, რას ათქმევინებ სტუდემაიერზე, მისი კარგიც უნახავს და არც ისე კარგიც, თუმც ამ გამარჯვებით და იმით გახარებული, რომ მისი გუნდი 0:4 განადგურებას გადაურჩა, პარტნიორის მიმართ ქათინაურებად დაიღვარა, სულ „ექსელენთ!“ „და „ბრილიანთ!“ უწოდა და ბოლოს მხსნელად გამოაცხადა.

თავად ნეშსაც არ უთამაშია ურიგოდ, ქულები სტუდემაიერივით ბარაქიანად არ მოუმკია, მაგრამ სანაცვლოდ პასები არიგა ჩვეული სიუხვით და ერთხელაც ვთქვათ, მისი გუნდის მეტოქეებს ნეშის ქულების კი არა, სწორედ პასების უნდა ეშინოდეთ.

თავად მატჩზე რა მოგახსენოთ, ფინიქსელებმა ერთად შეძლეს აქამდე შეუძლებელი და „სან ანტონიოს“ ტოლ-სწორად ებურთავნენ, ერთხანს 12 ქულით გაექცნენ და ბოლო წუთებზე წამოწეულს იმ ჯეელმა ჩასცა ლახვარი, რომელიც ზემო სტრიქონებში ყველაზე მეტჯერ მოვიხსენიეთ.

ახლა „ფინიქსი“ მეხუთე ჯახს შინ უმასპინძლებს და, ალბათ, შუბლგახსნილიც დაუხვდება ამ თამაშამდე მის მჩაგვრელ „სან ანტონიოს“.

„ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია კიდევ ერთი გამარჯვება ავართვათ „სფურზს“ და საქმე მეექვსე მატჩამდე მივიყვანოთ. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ეს არც ისე მიუწვდომელი ოცნებაა“ — ამბობს შეხვედრის კიდევ ერთი გმირი ჯო ჯონსონი. მეორე თამაშია, რაც ის მოედანზე მობრუნდა და გატეხილი ყვრიმალითა და სახეზე აფარებული ნიღბითაც შეძლო ტეხასელთა კალათის ამოქულვა.

**კოტე ყორშია**



სტივ ნეში მანუ ჯინობილის შეახტა




ჟუსტინ ენენ-არდენი და მარია შარაპოვა

# ჟუსტინთან დახრილი მარიას ლამაზი თავი

31 მაისი

**მეოთხედფინალი**

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:2, 7:6 (7:3), 6:3; **რაფაელ ნადალი** (4, ესპანეთი) — დავიდ ფერერი (20, ესპანეთი) 7:5, 6:2, 6:0

**ქალები**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (10, ბელგია) — მარია შარაპოვა (2, რუსეთი) 6:4, 6:2; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (29, სერბეთი) 6:2, 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (16, რუსეთი) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 2:6, 6:4, 6:4; **მარი პირსი** (21, საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 6:3, 6:2

**მარია** შარაპოვა მშვენიერი ჩოგბურთელია და ამის დამწერზე უკეთ იცით, არც ისე გახლავთ ცუდი გოგონა, მაგრამ ისიცა და სხვა რუსგოგოებიც ჩოგნის მარჯვედ ცემაში ძნელად შეედრებიან ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენს და ეს გაუსაჩივრებელი ფაქტი რომ გახლავთ, ვერ დავითვლით, ჟუსტიმ მერამდენედ აჩვენა ქალთა ჩოგბურთის ერთგულ და ნახევრადერთგულ მაყურებელს.

ერთგვარი ვირუსისა და მუხლის ტკივილის გამო შვიდი თავის გამცდენმა ენენმა მარტში ისევ მოკიდა ჩოგანს ხელი და ყველაფრის თავის ადგილზე დალაგება იწყო, 22 თამაში მოიგო, ერთი წააგო და ამ როლანდგაროსობაზე უკვე მეორედ დაიფრინა მის არყოფნაში აშვებული და სლემტიტულის მომგები რუსი.

შარაპოვამდე ბელგიელს 2004 წელს „იუეს ოუფენის“ მომგები სვეტლანა კუზნეცოვა ემსხვერპლა და მასთან სამზემეტსაათიანი განდაგანის შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ ტანკენარ და გამკივან მარიას ასე იოლად მოუთავებდა ჩოგანს. შარაპოვამ მხოლოდ პირველ სეტში სცადა [illegible] ენენს წინააღმდეგობის, მაგრამ 4:6 მარცხით [illegible] შემდეგ ის [illegible] ვეღარ მოახერხა [illegible] ზე თავი ნახარა.

მაგრამ შარაპოვა-ჟუსტინის [illegible] შემდეგაც არ [illegible] სული მდედრობითისთვის [illegible] დასმა. აგერ, ნადია პეტროვამ სერბი ანა ივანოვიჩი ულმობლად [illegible] და ნახევარფინალში ადვილად გავიდა. [illegible] სესილ კარატანჩევასთან ცოტა გაუჭირდა ელენა ლიხოვცევას, მაგრამ ესეც იქაა.

ქალებმა მეოთხედფინალი სამშაბათსვე მოითავეს, კაცებში კი ორი ნახევარფინალისტი ჯერაც გასარკვევია, ხოლო გარკვეულთაგან არ იქნება იდეალური შეუდარებელი ჩოგბურთო მექანიზმის, როჯერ ფედერერის უხსენებლობა. რუმინელ ვიქტორ ჰანესკუსთან ჩოგან [illegible] მხიარული როჯერის არც ამჯერად დაუთმია თუნდაც ერთი სეტი, მაგრამ მეორის წაგებასთან იდგა ერთი-ორი გაფუჭებული ბურთის მანძილზე, მესამე სეტში კი უკვე მეტოქის საბოლოოდ [illegible] ჩოგანშემკრთალის იმდენი მოახერხა, რომ ზედიზედ სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ჰანესკუსთან საქმის მოგვარების მერე იმაზე, თუ არ მეშლება ასე 8 წლის [illegible], არ [illegible]

თუმცა [illegible] მის მეტ [illegible] უძლიერ მეტოქეებმა [illegible], წლეულს 48 თამაშიდან 46-ის მოგება [illegible] კი მოქმედ კოლეგებში ანდრე აგასის [illegible] მეორე გახლავთ, ვინც ზედიზედ ოთხ სლემტურნირზე უწია სულ ცოტა ნახევარფინალს.

**კოტე ყორშია**





გუშინდელი ცერემონიალი სეოკ-ის მუზეუმში: ზურაბ ზვიადაურსა და გიორგი ასანიძეს კონსტანტინა მავროსკელიდუ ათენის საპატიო მოქალაქის დამადასტურებელ მოწმობებს გადასცემს

# ზურაბი და გიორგიც გაგვიათენელდნენ

**ათენის** მოქალაქეთა რაოდენობა ერთბაშად 301 ადამიანით გაიზარდა. ამასთან, ყველანი სახელგანთქმული პიროვნებები არიან — ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, რომელთაგან ბევრს წინამორბედი თამაშების ოქროვერცხლიც მრავლად მოუპოვებია. ასეთი ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე 201 ქვეყნის 1199 სპორტსმენიდან მხოლოდ 57 სახელმწიფოს წარმომადგენელი აღმოჩნდა. მათ შორის, ვინც ათენის მოქალაქე გახდა, ჩვენი ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძეცაა, ოღონდაც, საუბარია საპატიო მოქალაქეობაზე.

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში საბერძნეთის ელჩმა საქართველოში, კონსტანტინა მავროსკელიდუმ ათენის საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი სიგელ-გუჯრები გადასცა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონებს.

ამ ცერემონიალს ვერ დაესწრო სეოკ-ის პრეზიდენტი, სამაგიეროდ იყვნენ: პირველი ვიცე პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, საპატიო პრეზიდენტები ნონა გაფრინდაშვილი, ჯანო ბაგრატიონი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და სეოკ-ის თანამშრომლები. იქვე იყვნენ ზურაბ ზვიადაურის მწვრთნელი შოთა ხაბარელი და გიორგი ასანიძის აღმზრდელი ვანო გრიქუროვი.

ცერემონიალის მერე ჯანო ბაგრატიონმა იხუმრა, ბერძნები თუ ვინმეს ათენის საპატიო მოქალაქობას უბოძებდნენ, ეს უწინარეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო ვანო გრიქუროვი, რომელმაც ელინებს დიდი ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კახი კახიაშვილი აჩუქა.

თავის მხრივ, ქალბატონმა კონსტანტინამ აღნიშნა, რომ პირველი ქართველი, ვისაც ათენის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს, საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო.

ელჩმა, ბუნებრივია, ისაუბრა საქართველოსა და საბერძნეთის მეგობრული ურთიერთობების ტრადიციებზე. ისიც თქვა, თქვენი სპორტული ტრადიციები აღორძინების გზაზეა და საქართველოს ახალგაზრდა, დინამიური პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით ბევრს მიაღწევთო.

ცხადია, ამ ცერემონიალზე უყურადღებოდ არც თავად ქალბატონი კონსტანტინა მავროსკელიდუ დატოვეს. ლერი ხაბელოვმა მას სეოკ-ის სამადლობელი წერილი გადასცა და სეოკ-ის საიუბილეო საათითაც დაასაჩუქრა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ავტორის ფოტოები**

# საინტერნეტო ქსელების ომი




**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატ ქალაქებს მათი საგანაცხადო კომიტეტების ინტერნეტ-საიტების მიხედვით რომ ირჩევდეს რომელი გაიმარჯვებდა?**

**იმ ქალაქს, რომელმაც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უნდა უმასპინძლოს, ამ ზაფხულს სინგაპურში აირჩევენ. საამისოდ, ლონდონი, მადრიდი, მოსკოვი, პარიზი და ნიუ იორკი ძალისხმევას არ იშურებენ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე რაც შეიძლება კარგი შთაბეჭდილება დატოვონ და გაიმარჯვონ.**

**მაგრამ** როგორ გამოიყურება ამ ქალაქების საგანაცხადო კომიტეტების საიტები? რა შეუძლიათ მათ უამბონ მომხმარებელს ქალაქთა გეგმებზე? ვინ გაიმარჯვებს, თუ საიტებს შევაფასებთ რამდენიმე კატეგორიის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკურ შესრულებას, კომერციულ მიმზიდველობას, გარეგნულ სახეს და პრეზენტაციას? ვის ჰყავს უკეთესი დიზაინერები და პროგრამისტები? ვინ უკეთესად წარმოადგენს ქსელში ოლიმპიურ ოცნებას? და ყველაზე მთავარი, რომელ საიტზე არის მოცემული შეჯიბრებათა ინტერაქტიური რუკა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა ბი-ბი-სისთვის მომზადებული სტატიის ავტორი დევიდ მაკენდელსი:

**ნიუ იორკი**. ამ ქალაქს აქვს მკაფიო და ნათელი საიტი. ჩანს სპორტისადმი ენთუზიაზმი, ეთნიკური მრავალფეროვნება, რაზეც ნიუ იორკის საიტი ეყრდნობა.

საიტის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქალაქის კომუნალური სამსახურის წარმომადგენლები პირობას იძლევიან, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში გაფიცვებს არ მოაწყობენ.

ინტერაქტიური რუკა გვიჩვენებს, თუ ვერფების რაიონი და სასაწყობო ფართობი როგორ გადაიქცევა ბრწყინვალე ოლიმპიურ სოფლად.

საიტის სტუმრებს შეეძლებათ აგრეთვე გაეცნონ ქალაქის ყველაზე ცნობილ ღირსშესანიშნაობათა სიას.

გარეგნულად საიტი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. დიზაინერებს საინტერესო ლოგოტიპი მოუფიქრებიათ, რომლის ერთ ნახევარზე მშვიდობის ქანდაკებაა გამოსახული, ხოლო მეორეზე — ხელაღმართული გამარჯვებული სპორტსმენის ფიგურა.

სამწუხაროდ, ამ პროექტის აქილევსის ქუსლი მისი ტექნიკური შესრულებაა, რომელსაც არა აქვს ზოგიერთი ვერსია. და თუ სოკ-ის წევრები მოისურვებენ ამერიკულ საიტში შეღწევას, საკუთარი PDA-ადან ამას ვერ მოახერხებენ.

მთლიანობაში ყველაფერი ოსტატურად და დამაჯერებლადაა შესრულებული, მაგრამ მისი ავტორები მეტისმეტად თვითდაჯერებულები ხომ არ არიან?

**ლონდონი**. როგორც მოსალოდნელი იყო, ლონდონელთა საიტიდან ბევრი სახელგანთქმული პიროვნება შემოგვყურებს: დევიდ ბექემი, სვენ გორან ერიქსონი თუ სპორტის სამყაროს სხვა ცნობილი ვარსკვლავები. და არა მხოლოდ ისინი.

ლონდონი თავს იწონებს საზოგადოებრივი მხარდაჭერით. ამასთან ისინი თავიანთ „სტუმბერსაც“ სთხოვენ მხარდაჭერას. და თუ „სტუმარი“ ამას გააკეთებს, მისი სახელი საიტის მთავარ გვერდზე დიდხანს დარჩება.

საიტი ყურადღებას ამახვილებს სატრანსპორტო მომსახურეობაზეც, რაც ლონდონელთა განაცხადის ყველაზე მტკივნეული წერტილია. ამ საიტის მიხედვით თქვენ შეიტყობთ, რომ 2012 წელს სპეციალური მატარებელი („ოლიმპიური შუბი“) გულშემატკივრებს კონტინენტიდან ასპარეზობათა ადგილამდე 45 წუთში მიიყვანს.

შინაარსის მიხედვით ბრიტანული საიტი უამრავ ინფორმციას იძლევა. საიტი აღჭურვილია მრავალი სასარგებლო რაღაც-რაღაცეებით. ეს არის საბავშვო ზონა, ელექტრონული ღია ბარათები, რომლებითაც შეგიძლიათ თქვენი კომპიუტერი დატვირთოთ.

საიტში ყველაფერი კარგად და გააზრებულადაა გაკეთებული, მაგრამ ცოტა მოსაწყენია.

**მადრიდი**. ერთი შეხედვით მადრიდის საიტი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. 27 ათასზე მეტ ადამიანს გამოუთქვამს სურვილი, რომ გახდეს ამ ოლიმპიური თამაშების ვოლონტიორი, რომლებიც პირობას დებენ, ჩვენი ქალაქის არჩევის შემთხვევაში ორგანიზატორებს პირნათლად მოვემსახურებითო.

ბრწყინვალე სატრანსპორტო სისტემის წყალობით ესპანეთის დედაქალაქი გვპირდება, რომ ოლიმპიური თამაშები ისტორიაში ყველაზე კომპაქტური გახდებაო. ერთი ობიექტიდან მეორემდე მაქსიმალური მანძილი ათი კილომეტრია, ნიუ იორკში კი ეს მაჩვენებელი, მაგალითად, 34 კილომეტრს აღწევს.

თუ საიტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მადრიდელთა განაცხადი ცოტა არ იყოს ფეთხუმურადაა მომზადებული. საიტში უმრავი მოსაწყენი ინფორმაციაა თავმოყრილი, რაც მის მომხმარებელს ღლის. მისი დიზაინი და ფერი რაღაც ჭუჭყისმაგვარი ყავისფერი, ძალზე მონოტონურია.

ერთი სიტყვი, ეს საიტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი სასწრაფოდ ერთ საღამოს მომზადდა.

**მოსკოვი**: მოსკოველთა საიტი ყურადღებას ამხვილებს ქალაქის არქიტექტურასა და სილამაზეზე. აგრეთვე, მე-20 საუკუნის სპორტულ მიღწევებზე.

დიდი ყურადღება ეთმობა მდინარე მოსკოვს, რომელიც ქალაქის სატრანსპორტო არტერიის მთავარი სიმბოლური ცენტრია.

სამწუხაროდ, დიზაინერებს აქ ყველაფერი ვერ გაუთვლიათ. მდინარის რუკა ობიექტების აღსანიშნად მეტისმეტად გვაგონებს წყალბადის ბომბის აფეთქების შედეგად განადგურებული ზონის აღმნიშვნელ დიაგრამას. ამას გარდა, საიტი ვერ იძლევა იმის ნათელ წარმოდგენას, თუ როგორ აპირებს მოსკოვი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას მაშინ, როცა მისი კონკურენტი ქალაქები გარემომცველ სამყაროს უდიდეს ყურადღებას უთმობენ.

და მაინც, ეს საიტი ყველას უნდა მოეწონოს, ვინც მას გაეცნობა. ამ საიტს მრავალ ენაზე აქვს ვერსია და ამ მხრივ რეკორდსმენია.

მოსკოვის საიტი ინფორმაციულია და კარგად ორგანიზებული, ხოლო მისი დიზაინი გააზრებული. თუმცა, რამდენამდე მაინც ძველმოდურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ხუთი საიტიდან მოსკოველთა საიტი შესაძლოა გამარჯვების პრეტენდენტად ჩაითვალოს.

**პარიზი**. საფრანგეთის დედაქალაქის საიტზე თვალს ახარებს ეიფელის კოშკის ფოტოების სიმრავლე. პარიზელთა საიტი სიურპრიზებს არ გვთავაზობს. თუმცა რა საჭიროა ისინი — ბევრმა ხომ უკვე წინასწარ მიაკუთვნა ამ ქალაქს ოლიმპიურ რბოლაში გამარჯვება. ამ საიტზე შეიძლება გავიგოთ პარიზის ბუნების დაცვის ინიციატივები, რაც მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. საიტის შემქმნელები ხოტბას ასხამენ ოლიმპიურ სოფელს, რომელიც სხვა ოლიმპიური ბაზების მსგავსად აღჭურვილი იქნება სასარგებლო ელექტრონული მოწყობილობებით. ამ საიტს აქვს ნაკლოვანებებიც, მაგრამ იგი მაინც ასხივებს ამ ქალაქის გამარჯვების შანსებს.

საიტი მკაფიო და უბრალო დიზაინით გამოირჩევა. მასში არ არის ინფორმაციის მოზღვავება. ყოველი განყოფილება ეს ერთი ეკრანული გვერდია.

ერთი სიტყვით, პარიზელთა საიტი ფრიადს იმსახურებს.

იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექციის წევრები უარს იტყოდნენ პრეტენდენტი ქალაქების ინსპექტირებაზე და უბრალოდ ვითარების გაცნობას საიტებით შეეცდებოდნენ, მაშინ ეს საიტი პარიზს უთუოდ გამარჯვებას მოუტანდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ლომების ტურნე 2005

# ლომებმა მაორებზე გაილაშქრეს

ზე-თორმეტი ახალზელანდიური „ქრუზეიდერსის“ გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ დიდი სარაგბო ამბები მაორთა მიწა-წყალს არც ივნისივლისში მოაკლდება.

ბრიტანეთში „ლომები“ შეკრებილან და ახალი ზელანდიის დასაპყრობად გაულაშქრიათ. ასე 4 წელიწადში ერთხელ ხდება. შეიყრებიან ირლანდიის, ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის უდიდესი მორაგბეები, აირჩევენ წარსულში სახელმოხვეჭილ მწვრთნელს და გაიწევენ ტურნეში, სადაც რამდენიმე ისეთ თამაშს ჩაატარებენ, რაგბის მოყვარულებს არასოდეს ავიწყდებათ.

წლევანდელ „ლომთა ტრაიბში“ 45 მორაგბეა, ბელადად კი მხცოვანი სერ კლაივ ვუდვორდი აურჩევიათ. ამ „ფაფარში“ ჭაღარაშერეულმა მწვრთნელმა 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოაგებინა ინგლისელებს, დამსახურებად ესეც კმარა. საერთოდაც რაგბის სამყაროში მსგავსი დამრიგებელი ცოტაა და აბა, სხვას ვის ანდობდნენ ამ ტურნეში ბრიტანელ-ირლანდიელთა გაერთიანებული ნაკრების ბედს. გუნდში ინგლისელები სჭარბობენ. სულ 21 კაცი. რაოდენობრივად თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი ირლანდიელები (11) და უელსელები (10), შოტლანდიელთაგან კი მხოლოდ სამს ერგო პატივი, რომ „ლომთა“ მაისურა მოერგო.

ნაკრები 19 კლუბის მორაგბეთაგანაა დაკომპლექტებული. ყველაზე დიდი წარმომადგენლობა „ლესტერს“ ჰყავს. ამ კლუბიდან რვა მოთამაშეა გამოძახებული. შემდეგ „ლინსტერი“ და „სეილი“ მოდიან, შესაბამისად, ექვსი და ხუთი მორაგბე. ოთხი „ლომი“ „მიუნსტერიდანაა“, სამ-სამი „ვასპსმა“ და „კარდიფმა“ მიავლინეს. „ოსპრისი“, „დრაგონსი“ და „ბასი“ ორ-ორი მორაგბით იწონებენ თავს, თითო-თითოთი კი „ტულუზა“, „არლეკინსი“, „ნიუკასლი“, „კლერმონი“, „სკარლეტსი“, „ბორდერსი“, „გლაზგო“, „სეინთსი“, „სარაცენსი“ და „ედინბურგი“.

ამ უკანასკნელთაგან გამორჩეულ კლუბი „ნიუკასლია“. მართალია, მათგან მხოლოდ 1 მორაგბე გამხდარა „ლომი“, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ერთადერთი თავად ჯონი ვილკინსონია — ინგლისის ნაკრების 2003 წლის ტრიუმფის შემოქმედი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტრავმის გამო რიგიანად არც უთამაშია და 6 ერის თასის გათამაშებაც გამოტოვა.

ჯონის გამოჯანმრთელების იმედი სერ კლაივ ვუდვორდს ბოლომდე ჰქონდა და აუხდა კიდეც ოცნება. ვილკინსონი კვლავ მის ნაკრებშია.

ვინც 6 ერის თასს ადევნებდა თვალყურს, გუნდის სიაში ნაცნობი გვარების შემჩნევაც არ გაუჭირდება. აი ეს სიაც:

უკანახაზელები: მარკ ქუეტო (ინგლისი), გორდან მერფი (ირლანდია), ჯეისონ რობინსონი (ინგლისი), გარეთ ტომასი (უელსი), შეინ უილიამსი (უელსი), ჯოშ ლიუსი (ინგლისი), შეინ ჰორგანი (ირლანდია), დენის ჰიკი (ირლანდია), ტომ შანკლინი (უელსი), ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), გევინ ჰენსონი (უელსი), ოლი სმითი (ინგლისი), გორდონ დარსი (ირლანდია), უილ გრინვუდი (ინგლისი), ჯონი ვილკინსონი (ინგლისი), სტივენ ჯონსი (უელსი), რონან ოგარა (ირლანდია), ჩარლი ჰოჯსონი (ინგლისი), მეტ დოუსონი (ინგლისი), დუეინ ფილი (უელსი), გარეთ კუპერი (უელსი), კრის ქიუსტერი (შოტლანდია);

ფორვარდები: გრეემ როუნთრი (ინგლისი), ენდი შერიდანი (ინგლისი), მეტ სტივენსი (ინგისი), გეთინ ჯენკინსი (უელსი), ჯულიან ვაითი (ინგლისი), ჯონ ჰეიესი (ირლანდია), გორდონ ბალოხი (შოტლანდია), სტივ ტომსონი (ინგლისი), ენდი ტიტერლი (ინგლისი), შეინ ბირნი (ირლანდია), დენი გრიუკოკი (ინგლისი), ბენ ქეი (ინგლისი), მალკოლმ ოკელი (ირლანდია), დონჩა ოკალაჰანი (ირლანდია), პოლ ოკონელი (ირლანდია), მაიკლ ოუენი (უელსი), რიჩარდ ჰილი (ინგლისი), ნილ ბეკი (ინგლისი), მარტინ, უილიამსი (უელსი), ლიუის მუდი (ინგლისი), საიმონ ტეილორი (შოტლანდია), მარტინ კორი (ინგლისი), ლოურენს დალალიო (ინგლისი).

ჯონი ვილკინსონის გარდა გუნდში ბევრი გამორჩეული მორაგბე რომაა, ამას თავადაც, ზოგიერთი მათგანი კი სტატისტიკის მოყვარულებსაც დააინტერესებთ.

გუნდში ყველაზე მხცოვანი როუნთრი გახლავთ, რომელსაც 18 ივლისს 34 წელი უსრულდება. ყველაზე ნორჩი კი 23 წლის უელსელი, გევინ ჰენსონია. „ლომების“ მაისურა ყველაზე ხშირად, 73-ჯერ ლოურენს დალალიოსა და მალკოლმ ოკელის მოურგიათ, ყველაზე გამოუცდელი კი ენდი შერიდანია, რომელსაც ეს პატივი ერთხელ რგებია.

ეს ყველაფერი კარგი, გუნდიც ჩინებული მობურთალებით არის დაკომპლექტებული და მწვრთნელიც დიდებული ჰყავს, მაგრამ თამაშის ხარისხმა გულშემატკივართა იმედებს ცივი წყალი თუ არ გადაასხა, ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად შეარყია.

ახლა „ლომების“ გასახურებელ თამაშზე ვსაუბრობთ არგენტინის მეორე ნაკრებთან. ისე ხომ არ დაადებდნენ თავს ბრიტანელები ზელანდიაში მომავალ გზას, რომ ჯერ შედარებით იოლ მეტოქესთან არ ეცადათ ძალები. მათაც არგენტინელ „პუმებს“ უხმეს და 23 მაისს კარდიფში ებურთავნენ.

ზოგადად რომ ვთქვათ, პუმა ლომის სამხრეთ-ამერიკული ვარიანტია. ტანადაც უფრო მომცროა და ცხოველთა მეფეს ვერც სილამაზეში შეედრება, მაგრამ უელსში ისეთი ამბები დატრიალდა, ვინ ლომი იყო და ვინ კატა, ძნელად თუ გაარჩევდით.

ბრიტანელ-ირლანდიელებს არაფერი გამოსდიოდათ და ისეთ შეცდომებს უშვებდნენ, არგენტინის მეორე ნაკრების ადგილას ახალი ზელანდია ან ავსტრალია რომ ყოფილიყო, „ლომებს“ ძვირად დაუჯდებოდათ. ვაჟკაცური რაგბის წყალობით „პუმები“ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე 25:22 იგებდნენ, მაგრამ ჯონი ვილკინსონის ჯადო ფეხმა აქაც იხსნა გუნდის ღირსება და საბოლოოდ თამაში 25:25 დამთავრდა.

ფრე გუნდთან, რომელთანაც „ლომებს“ უბრალოდ გავარჯიშება უნდოდათ. რა თქმა უნდა, სერ კლაივ ვუდვორდი გვარიანად შეაფუცხუნეს ჟურნალისტებმაც და ქომაგებმაც. ამ საქმიდან რა გამოვა, ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ თუ ზელანდიურ ტურნეშიც გუნდმა მსგავსი თამაში აჩვენა, იქიდან სირცხვილნაჭამი დაბრუნება [illegible] დება.

სხვანაირად ფიქრობს თავად [illegible] დვორდი, რომლის გუნდიც რამდე[illegible] ნიმე დღის წინ ჩავრინდა [illegible] ნდში.

„მჯერა წარმატების [illegible] ნდში მსოფლიოს დონის [illegible] ლავები თამაშობენ და [illegible] მომავალ მატჩებში [illegible] ვამტკიცებ. [illegible] რაგბი ახალ ზელანდიაში [illegible] მაც მათ ტრადიციებს [illegible] ტოვს [illegible] მათი მოთამაშეების [illegible] ლების დონე [illegible] გრამ ჩვენ [illegible]

ზელანდიური ტურნე [illegible] რად 4 ივნისს [illegible] რუას სტადიონზე [illegible] რთა ტრადიციული [illegible] საბურთაოდ კი [illegible] დაუპირისპირდება.

[illegible] და ამავე დროს [illegible] გუნდლიცაა, რომელსაც [illegible] კას“ ასრულებენ [illegible] დიდი პატივი და [illegible] ორები დაისჯდნენ [illegible] ვაჟკაცობა [illegible] ხოვლე მოძრაობებში და [illegible] რომელშიც თავიანთი [illegible] იფიცებიან [illegible] და პირველყოფილი [illegible] ძნელად აღსაქმელი და [illegible] გულად დამორჩილდებიან.

ახლა, თავიანთი [illegible] ზოგიერთებისგან განსხვავებით [illegible] ნდოელების ერთი წინაპარი [illegible] ჩერებით კოლონისტებთან [illegible] ლა მათში დღესაც [illegible] სხლი ჩქეფს, რომლებიც [illegible] საშინელი კბილებით [illegible]

დღევანდელ ზელანდიაში [illegible] ლიზმა აღარ არსებობს [illegible] თიან რაგბის სათამაშოდ [illegible] კაცის ძვალ-რბილი [illegible] ან დიდ სავარჯიშოდ და [illegible] ამას საკუთარ ტყავზე [illegible] ცდიან.

„ბეი ოფ ფლენთის“ 1976 [illegible] გახდა ახალი ზელანდიის [illegible] ციების ჩემპიონი, ტურნეზე [illegible] წილე უცხოტომელთათვის [illegible] თვანეც მრისხანე ძალით [illegible] გენდა. 1970 წელს მათ [illegible] მარცხეს 14:8, 1982 და 1990 წლებში ავსტრალიელები, შესაბამისად [illegible] და 12:4, „ლომებთან“ კი [illegible] ვთ საქმე. შვიდჯერ [illegible] ტანულ-ირლანდიურ ნაკრებთან [illegible] აქედან ფრეს მხოლოდ [illegible] წელს გამორჩნენ, დანარჩენი [illegible] შები წააგეს. წლევანდ [illegible] ბა, ამას 4 ივნისს ვნახავთ.

**ლადო წულუკიძე**



სერ კლაივ ვუდვორდს ცხვირის ხახუნით ესალმებიან. მაორთა ტომში ეს ხელის ჩამორთმევის ტოლფასია



დენის ჰიკის რამდენიმე დღეში ეგებ გოლფისთვის აღარ ეცალოს



ირლანდიელთა კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი მაორთა ბელადს გადაეყარა



ბრაიან ოდრისკოლი

# დიდთა გამზრდელი დიდი

ეს ძველი ფოტოა: სუმოს ძველი ვარსკვლავი ფუტაგოიამა თმას კვეცს თავის ვაჟს ტაკანოჰანას. ფუტაგოიამა ამ დღეებში გარდაიცვალა პირის ღრუს კიბოთი. თავადაც დიდი ჩემპიონი ორი იოკუძუნას მამა გახლდათ. ის 55 წლისა იყო.



AFP ტოკიოდან




AFP ლოს ანჯელესიდან

ასეთი რამ გვარიანად ხშირად ხდება ბეისბოლში: ჩიკაგოელმა კორ პეტერსონმა ლოსანჯელესელი დამკვრელის ოლმედო საენსის ბურთს მანამდე ვერ უწია, სანამ კედელს არ მიაწყდა, რაც ორმაგ ორრბენს გულისხმობს ლოსანჯელესელთა სასარგებლოდ. თუმც, თამაში მაინც ჩიკაგოელებმა მოიგეს.




AFP ოკლენდიდან

# ლომები სამხრეთში

ბრიტანეთის და ირლანდიის ლომები ექვსკვირიან ტურნეს შესდგომიან და სწორედ ახლახან ჩასულან ოკლენდში, სადაც „ოლ ბლექსსაც" უნდა შეხვდნენ. ავტოგრაფებზე მონადირეთა შორის მომწყვდეული ჯონი უილკინსონი ალბათ ყველამ იცანით, ლომთა კაპიტან ბრაიან ოდრისკოლს მაორი მებრძოლი საბრძოლო ცეკვა-ყიჟინით შეგებებია, ხოლო პოჰატუ ალბერტი კი ჰაკათი აცილებს ლომთა ავტობუსს. როგორც ყოველთვის, ეს სარაგბო ტესტიც ფიცხელი იქნება.



AFP ოკლენდიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუცაიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge